# პიონერი

2

1966

140
1966/2.



ეროვნული
ბიბლიოთეკა




# პიონერული სიმღერა

მუსიკა ოთარ დიხამინჯიასი
სიტყვები
თეიმურაზ ჯანგულაშვილისა

1. პიონერული სიმღერით
   მოვდივართ მხრებგაშლილები,
   სამშობლოს ყვავილები ვართ,
   დიდი ლენინის შვილები.

2. ჩვენს მკერდზე ლაღად ფრიალებს
   წითელი ყელსახვევები,
   დავიზრდებით და სამშობლოს
   შრომაშიც ვესახელებით.

3. სწავლა, სწავლა და კვლავ სწავლა
   ჩვენ გვიანდერძა ლენინმა,
   საფრენად ფრთები შეგვასხა
   სამშობლომ, ვარდით ფენილმა.



# სიკეთე

**როდიონ ქორქია** მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ ბევრი რამ შეცვალა ხალხის ცხოვრებაში. განა მარტო ადამიანთა ურთიერთობა შეცვალა, ბუნებაც შეცვალა, ახალი სახე მისცა ქვეყანას. მე მინდა ჩვენი ბუნების ერთი საინტერესო ამბავი გაგაცნოთ თქვენ—პიონერებს.

დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირას, გურიიდან აფხაზეთამდე, გადაჭიმული იყო უზარმაზარი ჭაობი. ჭაობს ეჭირა 225.000 ჰექტარი ფართობი. შიგა და შიგ, მშრალ ადგილებზე, გაშენებული იყო სოფლები. იქ კი, სადაც მთლიანი ჭაობი იყო, ცხოვრება არ შეიძლებოდა. ყოფილა შემთხვევა, რომ ჭაობში ჩამხრჩვალან კამეჩები, მხეცები, ადამიანიც კი. ამიტომ იტყოდა ხალხი: ჭაობიდან ჩიტი კურკანტელს ვერ გამოიტანსო...

მაგრამ ჭაობში, აქა-იქ, იყო ამობურთული მიწა, რომელსაც აქ „დიხა-გუძუბას" ეძახდნენ. ამ დიხა-გუძუბაზე ცხოვრობდნენ: შველი, გარეული ღორი, მგელი, ტურა. რიონის ჭალებში ბუდობდა სილამაზით განთქმული ხოხობი.

ჭაობში ხარობდა ხაია, ლაქაში, ეკალბარდი. იდგა ტყეც, მაგრამ მისი გაჭრა არ შეიძლებოდა, შიგ ვერ შევიდოდა ადამიანი. მე მინახავს, რომ ამ ჭაობიან ტყეში ნავებით დაცურავდნენ, აჩეხავდნენ ხეს და გამოიტანდნენ.

ჭაობი არ შრებოდა, მუდმივი იყო. მას ზევიდან ლურჯ-ყვითელი ფერი დაჰკრავდა. ასე გასინჯეთ — ლამაზიც კი იყო. მაგრამ ახლოს თუ მიხვიდოდი — მტრისას. ჭაობის დამყაყებული, უძრავი წყალი სავსე იყო ჭია-ღუით, ბაყაყით, ქვეწარმავლით. ურიცხვი კოღო და მუმლი დაერეოდა კაცს. კოღო კი ყველგან იყო. კოღო იყო აქაური ადამიანის ჭირი და მტერი, ბატონი და სიავე.

არსებობს საინტერესო ლეგენდა კოღოს შესახებ. ერთხელ, თურქეთის რომელიღაც ხონთქარმა სამეგრელოს მთავარს—დადიანს შემოუთვალა: დამემორჩილე და ხარკი მაძლიეო. დადიანმა ხონთქრის ელჩები დიხა-გუძუბაზე მიიღო, საგანგებოდ გამართულ კარავში. დადიანმა თავისი კაცები წინასწარ დაარიგა: მოლაპარაკებას რომ დავიწყებთ, დაფერთხეთ გარშემო ლაქაშები და ეკალბარდები, კოღო აშალეთო. ჰოდა, მოლაპარაკება რომ დაიწყეს, მსახურებმა აშალეს კოღო. დადიანი და მისი ვეზირები, თითქოს აქ არაფერიაო, სხედან და აბოლებენ ჩიბუხს, ელჩებმა კი ვერ აიტანეს „კოღოების შემოტევა" და გაიქცნენ...

კოღო იწვევდა ციებას. ყოველ ზაფხულს, ყოველ ოჯახში, ბარის კოლხიდაში კვნესოდნენ ციებიანი ავადმყოფები. ციებამ არ იცის იმუნიტეტი, ის მეორდება ყოველ ზაფხულს. ციებიანი ბავშვები გაყვითლებულნი, უხალისონი იყვნენ. საზარელი იყო ციება. ის იწყებოდა თავის ტკივილით, კუნთების მოშვებით, ძვლის ტეხვით, მადის დაკარგვით, შეცივნებით. შეცივებულს დააყრიდნენ საბან-გობანს — მაინც ვერაფერი გაათბობდა საცოდავს. კბილები კბილებზე ემტვრეოდა, ბორგავდა... შეტევის შემდეგ იწყებოდა მეორე უკიდურესობა: სიცხე. სიცხე ისეთი მაღალი იყო, რომ ავადმყოფს უშრებოდა პირი, თხოულობდა წყალს და ვერ კი სვამდა, მკერდზე, მუცელზე სველ ტილოებს ადებდნენ — ვერ შველოდა, ავადმყოფი ბორგავდა, შველას ითხოვდა. შველა კი ის იყო, რომ კუჭის გასაწმენდ ზეთს დაალევინებდნენ. ზეთი რძეში გახსნილი იყო და საძაგელი გემო ჰქონდა... უჰ, რა საძაგელი! მეც დამილევია ის ზეთი და ეხლაც გული მერევა, რომ გამახსენდება... კუჭის გაწმენდიდან სამი დღის შემდეგ ავადმყოფს დაალევინებდნენ წყალში გახსნილ ქინაქინას. აბა, ვაჟკაცი ხარ და დალიე წყალში გახსნილი ქინაქინა! ჩვენ კი, იმდროინდელი ბავშვები, ვსვამდით, რადგან სხვა გზა არ იყო...

მაშინდელი ექიმების დაკვირვებით, ყოველ 100 კაცში 90 დაავადებული იყო ციებით. ეს იყო დიდი უბედურება. ციება განა მარტო ადამიანებს, ცხოველებსა და ფრინველებსაც ემართებოდათ. ციებისაგან შეშინებულმა ადამიანმა ასეთი ანდაზა შექმნა: „ხეც მოკვდება, რომ გააციებს"... ციებასა და კოღოს ისე ჰყავდათ დაშინებული ადამიანი, რომ ლექსები და ლეგენდებიც კი შექმნეს კოღოს ძლიერებაზე. აი, ერთი ლეგენდა:

გლეხმა ღვინო დაწურა და მარანში შეინახა. მოიყვანა პატარძალი და გამართა სუფრა. ქორწილის დღეს გლეხი შევიდა მარანში ღვინის ამოსაღებად, და რას ხედავს? ვიღაცას მოუხდია ქვევრი და დაულევია ღვინო. გაშეშდა გლეხი. კოლხიდამ არ იცის ღვინის ქურდი. მაშ რა მოხდა? მიიხედ-მოიხედა გლეხმა და კუთხეში ღვინით გამობრუჟული კოღო არ დაინახა? კოღოს იმდენი უსვამს, იმდენი, რომ რუმბივით გაბერილა და, რადგან ჭუჭრუტანაში ვერ გაეტია (კარი კი დაკეტილი იყო), იქვე დასძინებია. გამწარებულმა გლეხმა თოფი გამოარბენინა კოღოს მოსაკლავად. ამასობაში კოღოს გამოეღვიძა და ღია კარებიდან გარეთ გამოფრინდა. გლეხმა ესროლა, მოახვედრა და დასჭრა ფეხში. კოღომ უჩივლა გლეხს. გლეხი გაასამართლეს და გააციმბირეს...

„აბა! კოღოს ვინ მოერევა?" — ასე მთავრდება ეს იუმორისტული ლეგენდა.

მართლაც, კოღოს მომრევი არავინ იყო საუკუნეების განმავლობაში. საუკუნეების განმავლობაში ხსნა არ იყო კოღოსა, ციებისა და ბაყაყისაგან.

შველა მოვიდა მაშინ, როცა მოვიდა საბჭოთა ხელისუფლება.



მე მინახავს ჭაობთან პირველი შებრძოლება. მინახავს პირველი მებრძოლებიც ყველაზე საშინელსა და მიუვალ ადგილს: ჭალადიდსა და ყორათში.









მათ ეცვათ რეზინის მაღალყელიანი, წყალგაუვალი ჩექმები. ეცვათ მუშამბის ტანისამოსი — ისიც წყალგაუვალი. ეხურათ რეზინის ან ტყავის ქუდები. კოლხიდა ხომ წვიმიანი ქვეყანაა? ჭაობთან შერკინებული გმირები წვიმაშიც მუშაობდნენ. ამ გმირებმა ჭაობში მანქანები შეიტანეს და გემები შეიყვანეს. მანქანები ნაბიჯ-ნაბიჯ, ფიცარნაგებით შეათრიეს. გემებმა და მანქანებმა გათხარეს არხები. ჭაობის წყალი დაიძრა არხებით და გადაეშვა რიონში. ძნელი იყო ეს სამუშაო. გმირული იყო ეს სამუშაო. წვიმაში, წყალში, სიცივესა და სიცხეში მუშაობდნენ. ჰაერში კოღო და მუმლი აწუხებდა მუშებს, წყალსა და ტალახში კი — ბაყაყები და ქვეწარმავლები.

ჭაობს სხვადასხვა ხერხით აშრობენ. ყველა ხერხი დიდ ცოდნას, ვაჟკაცობას და საქმის სიყვარულს მოითხოვს. მამებთან ერთად კოლხიდაში პიონერებიც მუშაობდნენ. მე მინახავს ისინი ჭაობში ჩამდგარნი, ჭაობთან მებრძოლნი. ეს იყო ოცდაათიან წლებში.

ჭაობის ამოშრობა მჩ წლის წინათ დაიწყო. დღემდე ამოშრობილია 70.000 ჰექტარი. ეს დიდი შენაძენია ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველო ხომ პატარა ქვეყანაა? ჰოდა, ამ პატარა ქვეყანას რომ ამოდენა ახალი მიწა შეემატა, ეს ხომ დიდი ამბავია? ეს ხომ დიდი მიღწევაა? და ეს მისცა ჩვენს ქვეყანას საბჭოთა ხელისუფლებამ.

დავუბრუნდეთ ისევ ციებას. კოლხიდაში, ქალაქ ფოთში, მუშაობს სამალარიო სადგური. ამ სადგურის ცნობით, ციებით „პირველადი დაავადება“ უკვე აღარ არის კოლხიდაში. წინათ კი, როგორც ვთქვით, 100 კაცში 90 იყო ავად. ახლა კოლხიდა ჯანსაღია! ეს ხომ დიდი ბედნიერებაა? და ეს მისცა ჩვენს ქვეყანას საბჭოთა ხელისუფლებამ...

ამოშრობილ მიწაზე, ახალ მიწაზე, კოლხიდაში ახალი კულტურები მოიყვანეს: ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, ჩაი, ხურმა და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეები... აი, ამ ლამაზი მცენარეებით მოიქარგა კოლხიდა. ახლა მართლაც რომ ბაღსა ჰგავს იგი.

ბევრი ახალი სკოლა აშენდა კოლხიდაში, ბევრი ახალი გზაც გაიყვანეს, მაგალითად — ყორათში. და ეს მისცა ჩვენს ქვეყანას საბჭოთა ხელისუფლებამ.

ჩემთვის ეს ზღაპრივითაა, ეს დიდი სიკეთე. თქვენთვის კი, ვინც კოღოს არ დაუკბენიხართ, ციებას არ გაუწვალებიხართ, ბაყაყის ყიყინს არ შეუწუხებიხართ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჰოდა, პიონერებო, საბჭოთა ხელისუფლებამ ზღაპარი სინამდვილედ აქცია.

დღეს ჭაობზე შეტევა ისევ გრძელდება. ახალ-ახალი მიწა ემატება ჩვენს ქვეყანას. ეს ახალი მიწა უცდის თქვენს დავაჟკაცებას!

თქვენ ხომ მომავალი აგრონომები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები ხართ?

მაშ, ჩქარა გახდით სპეციალისტები, რომ ზოგი თქვენგანი კოლხიდაში წავიდეს და თავისი თვალით ნახოს, თუ რა დიდი სიკეთე მისცა საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს.

განა მარტო ნახოს? თვითონაც აშენოს ახალი საქართველო და ახალი სიკეთე შემატოს მას.

მე გიამბეთ საბჭოთა საქართველოს მხოლოდ ერთ სიკეთეზე. და რამდენია ასეთი სიკეთე!..

# ბალადა სკოლის ზარზე

იორამ ქემერტელიძე

მხატვარი დ. ხარაფიშვილი

გახეხილა, გამდნარა,
მაგრამ ზარი ზარია,—
ჯერ არც დადუმებულა
და არც ხმა გაბზარვია.
ნაუ!—ისევ გუგუნებს
მერამდენედ, ვინ იცის;
ხან სკოლისკენ გეძახის,
ხან შინისკენ მიგიძღვის.
მაგრამ იქნებ არ იცი:
სოფლადა თუ ქალაქად—
თურმე ზარი ეკიდა
საგანგებო ალაგას.
და ყველაზე პირველად
გებულობდნენ ზარები,
როცა მოგვადგებოდნენ
ზრახვით შემაზარებით.
გუგუნებდნენ, უხმობდნენ
მეგუთნეს თუ მოისარს,
ქუდზე კაცს ეძახოდნენ,—
სპას საქართველოისას.
გასძახოდნენ ზარები
ქუჩებსა და მოედნებს,
ზოგი—ხეზე ეკიდა,
ზოგი—სამრეკლოებზე.



იყო დრო ძალადობის,
ქლეტვის, გადაგვარების,—
მაგრამ გუმბათებიდან
გრიალებდნენ ზარები:
— ნაუუუ!.. ფრთხილად,
გასძელით,
ჟამი დგას მოჟამული!—
არ გაყიდოთ ნამუსი,
რჯული, ენა, მამული.
და ჩვენც ჩვენი ადათი,
როგორც ზარის გრიალი,
როგორც მიწის ძახილი,—
სულში გვენთო ბრიალით.
თავზე გვადგა ღრუბელი,
თუ ცხელი მზის ლივლივი,—
საქართველოს ზარები
გრიალებდნენ ჰიმნივით,
გასძახოდნენ ზვიადად
ქუჩებსა თუ მოედნებს,
ზოგი—ხეზე ეკიდა,
ზოგი—სამრეკლოებზე.

ჰო, ეს ზარი წკრიალა,
ძველისძველი ზარია,
აუ, რა დრო გასულა,—
ხმა კი არ გაბზარვია.
ამ ზარის ხმით ტიროდნენ,
ამ ზარის ხმით მღეროდნენ;
ამ ზარს დაეჯერება,
შენც ამ ზარის გჯეროდეს.
ნაუ!—ისევ გუგუნებს
მერამდენედ, ვინ იცის,
სკოლისაკენ გეძახის,
სინათლისკენ მიგიძღვის.



# სამი უჩინ-მაჩინი

ვალერიან
ჩაკურიშვილი

მხატვარი
რ. ცუცქირიძე

— მგონი შეგეშინდა!
— არ მეშინია, მაგრამ ძნელია.
— რატომ?
— გადაღების დროს აპარატი ხმაურობს.
— ვიცი.
— მერე, გაიგონებენ და გათავდა.
— მაგას ეშველება, ამაზე უკვე ვიფიქრე.
— რა ეშველება?
— იქვე ახლოს კოლმეურნეობის სამჭედლოა. გუშინ, პანტაზე რომ ვიჯექი და იმათ ვუსმენდი, გოგის მამამ თავისი ჯაბახანა ტრაქტორი დაქოქა და იმისმა თუხთუხმა ქვეყანა დააყრუა.
ლაშამ თვალებში შეხედა ბიძინას.
— გოგის მამასაც გავაგებინოთ?
— გოგი თვითონ მოუვლის მაგ საქმეს — სწორედ იმ დროს დაქოქავს და აღარ გააჩერებს, ვიდრე ჩვენ არ ვეტყვით. თვითონ იცის მართვა, მამამ ასწავლა. ზოგჯერ მამის მაგიერ ხნავს ხოლმე. გინდა, ახლავე ვუთხრათ?
— კარგი, ვუთხრათ.
ბიძინა წამოდგა და გოგის დაუძახა.
— გოგი, ტრაქტორის მართვა იცი? — ჰკითხა ლაშამ, მოსვლის უმალ.
— ვიცი. რად გინდათ ტრაქტორი?
— ქურდები უნდა დავიჭიროთ.
— ტრაქტორით? — იკითხა ბიჭმა.

გაგრძელება. იხ. „პიონერი" № 1.

— დიახ, მამაშენის ჯაბახანათი.
— თქვე საწყლებო, — სინანულით თქვა გოგიმ, — ალბათ მზის ბრალია, წამოდით, იბანავეთ და გონს მოხვალთ.
— შენ ხუმრობ, ჩვენ კი სერიოზულ საქმეზე გელაპარაკებით. დაჯექი და მოგვისმინე, — უთხრა ბიძინამ.
— შეგიძლია ეგ საქმე გააკეთო? — ჰკითხა ბოლოს, როცა საქმის თავსა და ბოლოში გაარკვიეს.
— უნდა შევძლო! — თქვა გაოცებულმა, — კი... გავაკეთებ... ხუთშაბათს, სამ საათზე, არა?
— სამ საათზე ისინი უკვე პანტის ძირში იქნებიან. შენ ცოტა ადრე უნდა დაიწყო.
— თუ გინდათ, ერთი საათით ადრე იყოს.
— რომ ვერ დაქოქო, ან ჩაგიქრეს, ხომ იცი, რა მოხდება.
— მამაჩემის ტრაქტორს თქვენ მასწავლით?!
— ძალიან კარგი, ეს საქმე მოგვარებულია, მაგრამ კინოაპარატი? — იკითხა ბიძინამ.
— კინოაპარატი თბილისში დამრჩა, — თქვა ლაშამ, — უნდა წავიდე და ჩამოვიტანო.
— მერე, თქვენები გაგიშვებენ?
— რა ვიცი, მე მგონია, გამიშვებენ.
— ნურავის ნუ ჰკითხავ, ისე წადი! — უთხრა გოგიმ.
— ისე როგორ?
— ახმეტამდე — ავტობუსით, იქიდან — თვითმფრინავით, ორ საათში თბილისში იქნები. იქიდანაც ორი საათი დაგჭირდება.
—ნეტა, რა ღირს თვითმფრინავის ბილეთი? — იკითხა ლაშამ.
— არ ვიცი, მაგრამ ფულს შევაგროვებთ.
— ხუთი მანეთი მაქვს, თუ მეყოფა.
— სამი მანეთი მეც მაქვს! — თქვა გოგიმ.
— სამი მანეთი მეც შემიძლია! — გაეხარდა ბიძინას.
— შენც ნუ გაიპარები! — უთხრა გოგიმ.
— არც გავიპარო, არც ვუთხრა, აბა რა ვქნა?
— მე გეტყვი, რა უნდა ჰქნა: საღამოს თქვენებს უთხარი, — ხვალ ბიჭები ბახტრიონის დასათვალიერებლად მიდიან და მეც მინდა გავყვეთქო, არ გაგიშვებენ?
— როგორ არ გამიშვებენ.
— მე და ბიძინა დილით ადრე ჩამოგივლით, ჩავჯდეთ ავტობუსში და ბახტრიონის მაგიერ, ახმეტაში ამოვყოთ თავი. პირველ რეისზე რომ გაფრინდე, ბოლო რეისზე უკანვე ჩამოჰყვები. თქვენები ვერაფერსაც ვერ გაიგებენ.
შეთანხმდნენ.
სილაზე წამოწოლილ ბიჭებს მოსწყინდათ ლოდინი და მორევში გადაეშვნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

აეროდრომზე ხუთიოდე მგზავრი დახვდათ.

ლაშა სალაროსთან მივიდა, ფეხის წვერებზე აიწია და სათვალიან ქალს ჰკითხა:

— ბილეთი გაქვთ?

— სად მიდიხართ? — თავი არ აუწევია, ისე ჰკითხა მოლარემ. იგი რაღაც ქაღალდებს ქექდა, სულაც არ აინტერესებდა, ვის ელაპარაკებოდა.

— თბილისში.

— რამდენი გნებავთ?

— ერთი.

ქალმა ფულისთვის გამოიშვირა ხელი. ლაშამ მიაწოდა. მოლარემ ჯერ ფულს დახედა, მერე მგზავრს შეხედა.

— მარტო მიდიხარ? — ჰკითხა მან.

— დიახ, მარტო.

ფული უკანვე გადმოაწოდა.

— ბილეთს ვერ მოგცემ, გენაცვალე.

— რატომ?

— ასეთია უფროსის ბრძანება — არასრულწლოვანებს ბილეთები არ მიჰყიდოთო.

— ვინ უფროსის?

— ჩვენი აეროდრომის უფროსმა ბრძანა.

— რატომ?! — გაოცდა ბიძინა.

— რა ვიცი, შვილო, მიდით და ჰკითხეთ.

— სად ზის უფროსი?

— აგერ აწერია, ბიძია, — მიასწავლა ვიღაც ნაცრისფერკოსტუმიანმა მგზავრმა.

ლაშამ კარი მორიდებით შეაღო და შეიხედა. უფროსთან მილიციელი იჯდა. ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ.

— შეიძლება? — იკითხა ბიჭმა.

— მობრძანდით.

— იცით, მე თბილისში მინდა წასვლა და მოლარე თქვენი ნებართვის გარეშე ბილეთს არ მაძლევს.

— ალბათ მარტო მიდიხარ?

— დიახ, მარტო!

— სამწუხაროდ, ვერ მოგცემთ.

ბიჭი დაღონდა.

— რატომ? — ჰკითხა მაინც.

— პატარა ხარ.

— მერე რა?

—რა გინდა თბილისში?

— მე იქ ვცხოვრობ, აქ ამხანაგებთან ვიყავი სტუმრად და ახლა მაცილებენ.

— ა, ესეც იმას ამბობს, აღარ მჯერა! იმანაც სწორედ ასე თქვა, — თბილისელი ვარ და იქ იმიტომ მივდივარო.

— ვინ გითხრათ? — გაუკვირდა ლაშას.

— ვინ და, შენისთანა პატარა ბიჭმა. თურმე თვითმფრინავით გასეირნება უნდოდა. მოგვატყუა. გაფრინდა, ჩემო ბატონო, თბილისში. უცებ ამინდი შეიცვალა, ფრენა შეწყდა. უკან, რა თქმა უნდა, ვერაფერს გამოჰყვა, არც ქალაქს იცნობდა. სამი დღე დაეხეტებოდა ასე. აქ კი მთელი ქვეყანა აწრიალდა. მშობლები ცრემლად იღვრებოდნენ... წარმოგიდგენია, რა ჩაიდინა!

— იმას მოუტყუებიხართ, მე კი ნამდვილად თბილისელი ვარ! — გაეღიმა ლაშას.

— რა გვარი ხარ? — ჰკითხა მილიციელმა.

— ლაშა გობეჯიშვილი.

— რომელ კლასში სწავლობ?

— მერვეში გადავედი.

— სტყუი!

— როგორ გეკადრებათ. მე დაბალი ვარ და პატარა გგონივართ.

— ბიჭუნა, აბა მომხედე! — ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო ლაშას. ბიჭი შეტრიალდა. მის წინ იდგა ის ნაცრისფერკოსტუმიანი ჭაღარა მამაკაცი, რომელმაც წეღან უფროსის კაბინეტი მოასწავლა, — ლაშა, ბიჭო, აქ რა გინდა? — გაუღიმა და ხელი გაუწოდა: — გამარჯობა!

— გამარჯობათ! — უპასუხა დაბნეულმა ბიჭმა.

— აქ ვისთან იყავი?

— ამხანაგებთან.

— თბილისში მიდიხარ?

— მინდა წამოსვლა, მაგრამ არ მიშვებენ.

ნაცრისფერკოსტუმიანმა კაცმა აეროდრომის უფროსს და მილიციელს გაუღიმა.

—მგონი, ლაშამ კარგად ვერ მიცნო. მე და ამის მამა ახლო მეგობრები ვართ. ის ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობს. შესანიშნავი უროლოგია. როცა ლაშა პატარა იყო, მე და მამამისი ძალიან ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ლაშა ჭადრაკის თამაშს არ გვაცლიდა



ხოლმე, ფიგურებს გვტაცებდა. — ნაცრისფერკოსტუმიანმა ისევ გაიღიმა, — ერთი სიტყვით, მე ძალიან კარგად ვიცნობ ამათ ოჯახს. მე მანდეთ, ერთად წავალთ, მე თვითონ მივიყვან სახლში.

— თუ ასეა, თუკი იცნობთ, კი ბატონო! — თქვა უფროსმა.

— ვიცნობ რომელია, გეუბნებით — მე და ამის მამა საუკეთესო მეგობრები ვართ. უკაცრავად, აქ შემნახველი საკანი არ ყოფილა და, თუ არ შეწუხდებით, ამ ჩემოდანს დავტოვებ ათი-თხუთმეტი წუთით, — თვითმფრინავის მოსვლამდე მინდა ვისაუზმო.

— კი ბატონო, დატოვეთ!

— გმადლობთ.

ჭაღარა კაცმა ლაშას ბილეთი აუღო, — მალე მოვალო — დაუბარა და სადღაც წავიდა.

„ალბათ ვინმეში ვეშლები“, — ფიქრობდა ლაშა. აღარც თვითონ უნდოდა სიმართლის გამხელა, რადგან ეშინოდა, ისევ არ ჩაშლილიყო საქმე.

ნახევარი საათი სწრაფად გავიდა. აეროდრომზე მგზავრები მოგროვდნენ. მერე გამოჩნდა ვერცხლისფერი თვითმფრინავი. იგი ვენახების თავზე მოფრინავდა და თანდათან დაბლა ეშვებოდა. აეროდრომის უფროსი დასაჯდომ მოედანზე იდგა და პატარა დროშებით ნიშანს აძლევდა მფრინავს.

ბიჭებმა ვერც კი შენიშნეს — ბორბლები როდის შეეხო დედამიწას. მერე თვითმფრინავმა გუგუნს უმატა, ნელ-ნელა მოვიდა ახლოს, შემოტრიალდა და გაჩერდა.

სასაუზმოდ წასული მგზავრი უკვე მოსულიყო, თავისი ჩემოდანი გამოეტანა და ბიჭებს ამოსდგომოდა გვერდში.

— ესენი არიან შენი ამხანაგები? — ღიმილით ჰკითხა მან ლაშას.

— დიახ, ესენი არიან.

— კეთილი და პატიოსანი! — მერე დაიხარა და ყურში უჩურჩულა: — ხომ კარგი ტყუილი ვუთხარი უფროსს.

ლაშას გაეღიმა.

— ტყუილის თქმა უსინდისობაა, მაგრამ ისეთი ტყუილის თქმა, რომელიც არაფერს დააშავებს, ჩემი აზრით, ხანდახან შეიძლება. აბა, ტყუილი რომ არ მეთქვა, ხომ არ გამოგიშვებდნენ, — თვალი ჩაუკრა კაცმა.

დადგა თვითმფრინავში ჩასხდომის დრო. ნაცრისფერკოსტუმიანი ბიჭებს დაემშვიდობა და ჩემოდანი აიღო.

— აქ მომიცადეთ, მე მალე დავბრუნდები, — უთხრა ლაშამ ბიძინას და გოგის და თვალი ჩაუკრა.

ჩასხდომა დამთავრდა. კარი დახურეს. ძრავები აგუგუნდა, თვითმფრინავი ნელა დაიძრა, სიჩქარეს თანდათან უმატა. ბიჭებს არც ახლა შეუმჩნევიათ, ბორბლები როდის მოსწყდა მიწას.

●

შუადღისას აეროდრომი ხალხით აივსო. ზოგი აცილებდა, ზოგი დასახვედრად იყო მოსული.

ცხელოდა. გოგი და ბიძინა განმარტოებით ისხდნენ ხის ქვეშ და შორიდან უყურებდნენ მგზავრებს.

მილიციელი ხანდახან გამოჩნდებოდა, დეზებიანი მამალივით დააბიჯებდა ხალხში. იგი მაღალი იყო, ქერაულვაშიანი. კეპი მაღლა აეწია და ოქროსფერი ქოჩორი უჩანდა.

— შეიძლება ლაშა ვერ ჩამოვიდეს! — დიდი ხნის დუმილის შემდეგ თქვა გოგიმ.

— რატომ?

— მარტოს არც იქიდან გამოუშვებენ.

— მე მგონი, იქიდანაც მოახერხებს რამეს! — თქვა ბიძინამ.

— მეც მაგის იმედი მაქვს.

მილიციელმა ხის ქვეშ წამოწოლილი ბიჭები დაინახა და ნელი ნაბიჯით მათკენ გაემართა.

— გოგი, ხედავ? მოდის!

— რა უნდა ახლა მაგას ჩვენგან? — თქვა გოგიმ.

— მოდი, გავიქცეთ.

— რას ვაშავებთ, რატომ უნდა გავიქცეთ.

— აბა, რატომ მოდის?

— მოვიდეს, რა...

მილიციელი რომ მიუახლოვდათ, ბიჭები გაჩუმდნენ.

— თქვენ აქ რას აკეთებთ? — მკაცრად იკითხა მილიციელმა.

— არაფერს, ჩვენთვის ვსხედვართ, — უპასუხა ბიძინამ.

— მეც ვხედავ, რომ სხედხართ. რას ელოდებით?

— არაფერს.

მილიციელი თვითონაც ჩრდილში ჩამოჯდა. ქუდი მოიხადა და შუბლი ცხვირსახოცით მოიწმინდა.

— ამხანაგი ხომ გააცილეთ, რატომ არ მიდიხართ სახლში?

— თვითმფრინავის დაჯდომას უნდა ვუყუროთ! — ახლა გოგიმ უპასუხა.

— ჯერ არ გინახავთ?

— როგორ არა, მაგრამ კიდევ გვინდა ვნახოთ.

— მეც ბევრი რამე მინდა! — თქვა მილიციელმა.

— ჩვენ ხომ არაფერს არ ვაშავებთ.

— დააშავებთ და, დაგიჭერთ.

ბიძინამ მილიციელს შეხედა.

— რას მიყურებ?

— ისე.

— ვინც რამეს აშავებს, თქვენ ყველას იჭერთ? — ჰკითხა გოგიმ.

— შენ როგორ ფიქრობ?

— თქვენ ხომ ყველაფერი არ იცით, ვინ რას აშავებს...

— თქვენ არხეინად იყავით, გაუგებარი არ დაგვრჩება.

ბიჭებს შეთქმულებივით ერთდროულად გაეღიმათ.

— რას იცინით?

— არაფერს, ისე...

— ჭკვიანი კაცი უმიზეზოდ არ იცინის.

— იცი რა, ძია, ჩვენს სოფელში ამ ბოლო ხანებში ქურდობა ხდება და...

— მერე?

— რატომ არ იჭერთ ქურდებს?

— სადაურები ხართ?

— კოშკელები.

— ახლახან მაღაზია რომ გაქურდეს, იმას ამბობთ?

— დიახ.

— ეგ თუ იცით, ისიც გეცოდინებათ, რომ დამნაშავე უკვე დაპატიმრებულია.

ბიჭებს ისევ შეთქმულებივით გაეღიმათ. მერე თვითმფრინავი გამოჩნდა.

— აგერ, მოდის. უყურეთ დაჯდომას და მერე მოუსვით აქედან! — თქვა მილიციელმა.

თვითმფრინავი პირველად ფუტკრისოდენა ჩანდა, ახლა უკვე ჩიტისოდენა იყო. ნელ-ნელა ეშვებოდა დაბლა. აეროდრომის უფროსი ისევ მინდორზე იდგა და პატარა დროშებით ნიშანს აძლევდა მფრინავს.

— ძია, ბოლო რეისი რომელ საათზე მოდის? — ჰკითხა ზიძინამ.

— რად გინდა ბოლო რეისი?

— ისე.

— ხუთზე მოვა.

—ახლა რომელი საათია?

მილიციელმა უხალისოდ დახედა საათს. — ორი



სრულდება, — თქვა, ქუდი აიღო და ზეზე წამოშლილი ხალხისკენ გაემართა.

თვითმფრინავი ნელა, მსუბუქად დაეშვა მიწაზე.

— ამ რეისზე ვერ მოასწრებდა! — თქვა ბიძინამ.

— მე მგონი, ბოლო რეისს მოჰყვება.

ბიჭები ისევ ჩრდილში დასხდნენ და იქიდან უყურებდნენ, როგორ აირივნენ ერთმანეთში ჩამოსულები და წამსვლელები.

თვითმფრინავი მალე გაფრინდა. ბიჭებმა თვალი გააყოლეს და მანამდე უყურებდნენ, სანამ წერტილიც არ გაქრა. მერე ისხდნენ ჩრდილში და ეშინოდათ — მილიციელი მოვა და გაგვყრისო. მაგრამ მათთვის ხმაც არავის გაუცია.

ბოლოსწინა რეისი მოვიდა. ბიჭები ზეზე წამოდგნენ. ისე, სხვათაშორის ათვალიერებდნენ ხალხს, თორემ ლაშას ბოლო რეისზე ელოდნენ.

თვითმფრინავის კარი გაიღო, მფრინავები გადმოვიდნენ და მათ გამოყვა ლაშა. მას ხელში ზურგჩანთა ეჭირა და აქეთ-იქით იყურებოდა.

— ლაშა, აქ ვართ, აქ! — დაუძახეს გახარებულებმა და მისკენ გაქანდნენ, ისეთი ამბით შეხვდნენ, თითქოს დიდი ხნის უნახავები ყოფილიყვნენ. ბიძინამ ჩამოართვა ზურგჩანთა, რომელშიც კინოაპარატი იდო, მხარზე გადაიკიდა და ავტობუსისკენ გაემართნენ.

— ბიჭებო, მოდით აქ! — დაუძახა მათ დოინჯშემოყრილმა მილიციელმა.

შეჩერდნენ.

— ჩვენ გვეძახით? — იკითხა ლაშამ.

— თქვენ, სამივეს.

— რას გადაგვეკიდა, რა უნდა ჩვენგან? — ადუდღუნდა გოგი.

რა უნდა ექნათ, მიბრუნდნენ და მილიციელის წინ მორჩილად გაჩერდნენ.

— შენ ხომ თბილისში გაფრინდი, უკან რატომღა დაბრუნდი?

— ისე.

— კიდევ ისე... რა გინდოდა თბილისში?

— საქმე მქონდა.

— აჰ, საქმე... ალბათ — სასწრაფო.

— დიახ!

— მაგ რუკზაკში რა გაქვს?

— ამაში? — ლაშა ყოყმანობდა, — ეთქვა თუ არ ეთქვა. „ამას რა უნდა, რა დევს ჩემს ზურგჩანთაში“, — ფიქრობდა იგი.

— ჰო, მაგაში! — ხმას აუწია მილიციელმა.

— ისეთი არაფერი.

— ასეთი?

ლაშა მიხვდა: მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით ფონს ვერ გავიდოდა.

— კინოაპარატია!

მილიციელს ხმა აღარ ამოუღია, წინ გაუძღვა და განყოფილებაში მიიყვანა.

— რაშია საქმე? — იკითხა უფროსმა.

— აი, ეს ბიჭი, — ლაშაზე მიუთითა მილიციელმა, — თბილისში გაფრინდა, იქ ვცხოვრობო. გამცილებლები, რატომღაც, მთელი დღე აეროდრომზე უცდიდნენ. შემდეგ ეს ბიჭი ისევ ჩამოჰყვა თვითმფრინავს და რუკზაკით რაღაც კინოაპარატი ჩამოიტანა.

— რა გქვია? — ჰკითხა უფროსმა ლაშას.

ბიჭმა უპასუხა.

— გვარი?

— გობეჯიშვილი. თბილისში ვცხოვრობ. მამა პანკისში, ზემო ალაზნის არხის მშენებლობაზე მუშაობს...

— ჰატ, არ დაუჯეროთ, ტყუის! — წამოენთო მილიციელი, — მაგის მამა ექიმია და ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობს.

— პატივცემულო, თვითონ ეგ ამბობს ტყუილს, — მორიდებით უთხრა ბიჭმა.

— ჯერ მე დამაცალე! — შეუბღვირა მილიციელმა და უფროსს მოახსენა, რომ ლაშას, დილას, თვითმფრინავზე არ უშვებდნენ. მერე... მამის მეგობარი კაცი შეხვდა. იმ კაცმა თქვა, ლაშას მამა ექიმია, ქალაქის პირველ საავადმყოფოში მუშაობსო. — თქვა თუ არა ასე? — ჰკითხა მილიციელმა ლაშას.

— არა, ეგრე არ უთქვამს. იმ კაცმა თქვა — ამის მამას ვიცნობ, მე კი ქალაქის პირველ საავადმყოფოში ვმუშაობო.

— დავაზუსტოთ, — თქვა უფროსმა, ყურმილი აიღო და მშენებლობის კანტორაში დარეკა.

— ქალიშვილო, ავთო გობეჯიშვილს სთხოვეთ... ა? ობიექტზეა? იქნებ თქვენ იცოდეთ, ავთოს ბიჭს რა ჰქვია? ლაშა? კარგი, გმადლობთ.

უფროსმა ყურმილი დადო, მილიციელს შეხედა და თქვა:

— ლაშა არა ტყუის.

— რა ვიცი, მე ეგრე გავიგონე და...

— ლაშა, რა იყო ასე სასწრაფო, რომ თბილისში გაფრინდი და ორ საათში ისევ უკან დაბრუნდი?

ბიჭს გაბედულება მოემატა.

— მე პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ნორჩ კინომოყვარულთა წრის წევრი ვარ. ეს კინოაპარატი მამამ მიყიდა. ქალაქიდან რომ წამოვედი, სახლში დამრჩა, ჰოდა, ჩამოსატანად წავედი.

— რა უნდა გადაიღოთ? — ახლა უკვე გაიღიმა უფროსმა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. თქვან — რის გადაღებას აპირებენ?

— აჰა, არ გინდათ, რომ თქვენი შემოქმედებითი გეგმები გაამჟღავნოთ?

— დიახ, ჯერ არ გვინდა გამჟღავნება. გადავიღებთ, გავახმოვანებთ და...

— სასიამოვნოა, მაგრამ როდის მოხდება ეს?

— ძალიან მალე, შეიძლება სამ-ოთხ დღეშიც მოვასწროთ.

— საინტერესოა. ოღონდ, სიტყვას შესრულება უნდა.

შევასრულებთ.

— წარმატებას გისურვებთ! — მილიციის უფროსმა ბიჭებს ხელი ჩამოართვა და ღიმილით დაემშვიდობა.

●

პანტაზე სამივე აცოცდა. კინოაპარატი და ხმისჩამწერიც თან აიტანეს, — პრაქტიკულად უნდა ესინჯათ — როგორ გადაეღოთ, ან ხმა როგორ ჩაეწერათ.

ლაშამ თითქმის ყველა ტოტი მოიარა და, როგორც იქნა, იპოვა ისეთი ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა მალულად გადაღება. მართალია, ხელს შეუშლიდა ფოთლები, მაგრამ იგივე ფოთლები საიმედოდ დაფარავდნენ „ოპერატორს".

გადაღების საკითხი მოგვარდა. ახლა ხმის ჩაწერის საქმე იყო მოსაგვარებელი. ეს კი არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც ბიჭებს ეგონათ. ტოტებში, სადაც ისინი დაიმალებოდნენ, ხმის ჩაწერა არ მოხერხდებოდა. საჭირო იყო მიკროფონის მიახლოება მოსაუბრეებთან.

— რა ვქნათ? — იკითხა ბიძინამ.

— აბა რა ვიცი, — ჩაილაპარაკა ლაშამ, — მიკროფონს წინ ხომ ვერ დავუდგამთ, დაინახავენ. არა და...

— ჩვენც ისე მოვაწყოთ, რომ ვერ დაინახონ! — თქვა გოგიმ.

— ეგ ჩვენც ვიცით, შენ ისა თქვი, როგორ მოვახერხებთ.

გოგიმ ხეს შემოუარა. ძირიდან დაწყებული კენწერომდე აათვალიერა. მერე ახლოს მივიდა, მაყვლის ეკალბარდები ფეხით გადასწია და ფუღუროში შეიჭვრიტა.

დიდი ხნის წინათ ღამის მეხრეს პანტის ძირში ცეცხლი დაუნთია. გვერდგამომწვარ ხეს ფუტურო შეპარვოდა და ახლა უკვე ჭვარტლიან ბუხარს ჰგავდა.

ერთხელ გოგიმ და მისმა პატარა ძმამ ნაქურჩის ცეცხლი მიუნთეს. ნედლი ჩალა აბოლდა, კვამლი ფუღუროს აჰყვა და კამეჩის ნესტოსოდენა ნახვრეტიდან რიხიანად გააბოლა პანტამ. ფუღუროში წიპრანას ჰქონოდა ბუდე. კვამლით შეწუხებულმა ჩიტმა ბარტყები მიატოვა, გარეთ გამოვარდა და საცოდავად აჭყიპინდა. წრიალებდა, იფოფრებოდა, თითქოს ბიჭებს ევედრებოდა, — მიშველეთ, შვილებს ნუ გამომიხრჩობთო.

საცოდავად ჟივჟივებდნენ ბუდეში მიტოვებული ბარტყები.

გოგიმ იმ წამსვე ჯოხს წამოავლო ხელი, აკვამლებული ჩალა გარეთ გამოყარა, ფეხით შედგა და ჩააქრო.

„იმ ჩიტის ნაბუდარიდან არ შეიძლება მიკროფონის ჩამოშვება? — გაუელვა გოგის. მერე უფრო გულმოდგინედ დააკვირდა, — აი, აქ ჩამოვა, აქედან იმ ეკალბარდებში გადავიტანთ და, მორჩა".

— ახლა თქვენ მე მიყურეთ! — თქვა გოგიმ. ფეხსაცმელები წაიძრო და ხეზე ციყვივით აცოცდა! — ლაშა, ამოდი, მომეხმარე.

— რას აპირებ?

— აი, აქედან ჩავუშვათ გამტარი.

— მერე?

— დანარჩენს მერე გეტყვი.

ლაშამაც წაიძრო ფეხსაცმელები და ხეზე აცოცდა. მიკროფონი ფუღუროში არ შეეტია, ამიტომ მოხსნეს და ცარიელი გამტარი ჩაუშვეს. ნახევარზე არც იყო ჩასული, რომ რაღაცას მოედო და გაჩერდა. აწვალეს, აწვალეს და როგორც იქნა კვლავ ჩასრიალდა.

— ჩამოვიდა! — დაუძახა გახარებულმა ბიძინამ.

გოგი ჩამოხტა. გამტარი ხის ძირს შემოახვიეს, მიკროფონი ისევ ჩართეს და ეკალ-ბარდებში ისე შეახამეს, ეშმაკიც ვერ დაინახავდა.

— აი, ძმაო, ხომ დავუდგით ცხვირწინ! — გამარჯვებულის კილოთი თქვა გოგიმ.

— ახლავე ვსინჯოთ.

გოგი ტრაქტორის ასამუშავებლად გაიქცა, ბიძინა ძირს დარჩა, ლაშამ კი გარშემო მწვანე „ზღვა" გადაიღო.

— როგორ არის საქმე, გესმის აპარატის ხმაური? —



ჩამოსძახა ტოტზე ჩამომჯდარმა ლაშამ.

— არაფერიც არ ისმის, ტრაქტორის გუგუნის გარდა.

— ხომ არ ვჩანვარ?

— არა.

— აბა, ახლა ჩამოჯექი, როგორც ისინი ისხდნენ და რამე ილაპარაკე, ხმას ჩავიწერ.

ბიძინამ ბალახზე მოიკალათა და დაიწყო:

— აი, აქ, ხვალ სამ საათზე, დანიშნულია მეტად საიდუმლო შეხვედრა. ჩვენ — სამი უჩინმაჩინი მათ ხმასაც ჩავიწერთ და ფირზეც გადავიღებთ. ჩვენ კეთილი უჩინმაჩინები ვართ, ისინი — კი... კიდევ ბევრი ვილაპარაკო?!

— საკმარისია. აბა, ახლა მოუსმინე.

— როგორ მოვუსმინო, გოგია თავისი მამის ჯაბახანას ისე ადღუვლებს, ლამის ყურის ბარაბანი გამისკდეს.

— აქ ამოდი.

ავიდა.

ლაშამ სახელური გადაატრიალა და ბიძინას ხმა გაისმა: „აი, აქ, ხვალ სამ საათზე, დანიშნულია მეტად საიდუმლო შეხვედრა...“

გოგიმ ტრაქტორი გააჩერა და რამდენიმე წუთში ბიჭებთან გაჩნდა.

— როგორ არის საქმე? — იკითხა მან.

— კარგად! — უპასუხეს და ბიძინას ხმა მასაც მოასმენინეს.

— ახლა რაღა დაგვრჩა მოსაგვარებელი?

— არაფერი, გარდა იმისა, რომ ხვალ ორ საათზე მამაშენის ჯაბახანა უნდა დაქოქო.

— ორი ადრე არ არის?

— სამის ნახევარზე მაინც. რა იცი, იქნებ ადრე მოვიდნენ.

— კი ბატონო. მე, თუ გინდათ, პირველზე დავქოქავ, მაგის ჯავრი ნუ გაქვთ.

ბიჭები შეთანხმდნენ და მერე სიმინდის ზღვაში გაუჩინარდნენ.

ბინდდებოდა.

## თავი მესამე

ბიჭები დილითვე შეხვდნენ ერთმანეთს და ცაცხვის ქვეშ, სკამფიცარზე ჩამოსხდნენ. საუბრის დაწყება, რატომღაც, უჭირდათ. ბევრს, ძალიან ბევრს ფიქრობდნენ იმაზე, თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, რა ბოლო შეიძლებოდა მოყოლოდა მათ წამოწყებულ საქმეს.

კარგა ხნის დუმილის შემდეგ გოგიმ ამოიღო ხმა.

— რას ჩაფიქრებულხართ, ხომ არ გეშინიათ?

— შიშისა რა გვეტყობა?!

— რა ვიცი, ხმას კი ველარ იღებთ და...

„შიში რა შუაშია, მაგრამ ჯობდა მილიციისათვის გვეთქვა, ისინი თვითონ მოუვლიდნენ“, — გულში თქვა ლაშამ. მაგრამ ახლა გვიანია, უკანდახევა სირცხვილი და თავისმოჭრა იქნება. რატომ უნდა თქვან — ლაშა ქალაქელია, დედას ბიჭია და შეეშინდაო. თუ უბედურება მოხდება, მარტო ლაშასთვის ხომ არ მოხდება, ბიძინაც იქ არ იქნება?!

— რა ვიცი, ნათქვამია — ასეთ შემთხვევაში მშიშრები ფიქრობენ ბევრსო, — თავისას არ იშლიდა გოგი.

— იცით, მე ახლა რაზე ვფიქრობდი? — თქვა ლაშამ, — ბიძინა, მე და შენ ისეთი ფერის ტანსაცმელი უნდა ჩავიცვათ, რომ თვალში არ ვეცეთ.

— მწვანე!

— ჰო, მწვანე, ფოთლების ფერი.

— მე მაქვს მწვანე ხალათი, — თქვა გახარებულმა ბიძინამ, — დახეულია, მაგრამ რა უჭირს.

— შენ გაქვს — კარგია, მე? — ცოტა წყენით თქვა ლაშამ.

— შენც გიშოვით. მე მოგიტან მამაჩემის ნაფრონტალ ხალათს! — უთხრა გოგიმ. გაიქცა, რამდენიმე წუთში დაბრუნდა და გაზეთში გახვეული ხალათი მოიტანა. მერე ზემოუბნელმა ბიჭებმა ჩამოიარეს. — დაცხა, ალაზანზე საბანაოდ წავიდეთო, — შესთავაზეს მათ. — წადით და ჩვენც მალე მოვალთო, — უთხრა ბიძინამ. ბიჭებს ჯერ დაცდა უნდოდათ, მერე ერთმანეთს თვალით ანიშნეს — წავიდეთო, და ადგნენ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ბავშვების გულის მესაიდუმლე

(დაბადების 100 წლისთავი)



შიო მღვიმელი

პატარობისას, ყველა თქვენგანს უსწავლია, მოუსმენია, შეჰყვარებია შიო მღვიმელის მხუბუქფრთიანი, უთვალავი საბავშვო ლექსები.

ახლა, უფროსებს, თქვენს დედ-მამას და აღმზრდელებს რომ შეეკითხოთ, ისინიც ერთხმად მოგიგებენ: ჩვენს ბავშვობაში „ძია შიოს" ლამაზ ლექსებზე ვიზრდებოდითო!

ბევრმა თაობამ აიდგა ენა სიმღერასავით გულში ჩამწვდომი სათუთი ლექსით. შიო მღვიმელის გულუხვ კალამს რომ მიუძღვნია პატარებისათვის.

რამდენი წელიც უნდა გავიდეს, დრო ვერ წაგვიშლის, ვერც მოზარდებს და ვერც ჭაღარებს, იმ მადლიანი, წმინდა ქართულის შნოსა და ლაზათს, — თითქმის ნახევარ საუკუნეს რომ გვინერგავდა შიო მღვიმელი.

ამიტომ არის, რომ დღევანდელ დღეს ერთსულოვანი სიყვარული მიუძღვნა ხალხმა ბავშვთა გულის მესაიდუმლეს, მის ნათელ ხსოვნას.

ცოცხალი ენა და გულწრფელობა, დიდი სითბო და სურათოვნება ახლავს თავიდან შიო მღვიმელის ლექსის სტრიქონებს. თხრობა იცოდა საოცარი, წვრილ ბავშვებზე და თვალწინ მართლაც წარმოგვიდგენდა თავის მრავალ გმირს; ხომ გახსენდებათ ნაზისა და წკიპას კამათი, კოწოს და კუწოს საუბარი! გაგახსენდათ მაწვნის ქილასთან მიპარული ცელქი ბიჭები? ცქრიალა თამრო, კეთილი ნიკო... რომელ ერთს მოთვლი!

დაუცხრომელმა ბავშვთა მგოსანმა ხალხურ კილოზე ააწყო ჩანგი თავიდანვე, სისადავე და უბრალოება შერჩა ბოლომდე, ლექსის გარეგან სამკაულებს არ გაჰყოლია. მიზნად ეს ჰქონდა: გაენდო ნორჩი მკითხველებისათვის რაც აღელვებდა, — აღონებდა ან ახარებდა, რომ გაერჩიათ ავი და კარგი, თავის კბილა, ლექსის გმირების მაგალითზე და დასკვნაც თვითონ გამოეტანათ.

ხომ გაგონდებათ მისი „ოჯახის გამხარებლები":

*დაბრუნდნენ სასწავლებლიდან*
*ბავშვები ჟივილ-ხივილით.*
*ზოგი თოვლს მოაგუნდავებს,*
*ზოგი გამორბის კივილით.*

რა ჟრიამული შეაქვთ სახლში, იატაკს ზანზარი გააქვს მათი რბენით! მიუსხდებიან ავადმყოფ დედას, სკოლის ამბებს მიახარებენ: გაკვეთილები კარგად იცოდნენ!... და სნეულს სახე გაეშლება, დაავიწყდება სატკივარი.

კაცთმოყვარეობა, შრომა და სწავლა, სამშობლო ქვეყნის სიყვარული, ჩაგრულის შველა და თანაგრძნობა ხალისიანად, ძალდაუტანლად მოკისკასობს, ცხოვრებისეულ სურათებში ოსტატურად შიგ ჩაქსოვილი. ან უსუსური ჩიტუნების მაგალითით გულს აგიჩვილებს, რომ დედაჩიტსაც თავისი დარდი ჰქონია და ონავრებთან სასაყვედურო; ან ყვავილების წყნარი ჩურჩული ჩაგესმის ყურში: უმწეოსა და უტყვ მცენარესაც შემიძლიაო სიხარული და მწუხარება, მაშ სიცოცხლეს რატომ მისპობო! პატრიოტიზმი და ჰუმანიზმი, — ეს ორი მცნება მგოსნის ლექსთა დედააზრია.

შიო მღვიმელის დახატული პაწაწინა გოგო-ბიჭები, — თუნდ ცელქი იყოს, მოუსვენარი, თუნდ დაჩაგრული და ობლობით გაუხარელი, — ყველა კაცური კაცია მომავალში, ან მომავალი ქართლის დედები, ჯანსაღი სულის ბავშვებია, რადგან მათ გულში სიკეთე ბუდობს. ხომ გახსოვთ ილა, ფეხში ძაფი რომ გამოაბა მახეში გაბმულ ჩიტუნიას, შეაფრთხიალა, ხან ძირს დაუშვა, ხან ხეზე შესვა; მერე — ხართუთა შეხთავაზა, მერე —ბლის ტოტი. მაინც ვერაფრით ასიამოვნა, და მოწყენილ ჩიტს ალერსით ეტყვის:

*იქნება ნაღვლობ დედაზე?*
*დედა მეც მიყვარს ძალიან.*
*აქ მოსასვლელად, ვინ იცის,*
*არც დრო აქვს, არცა სცალია.*
*აჰა, გაფრინდი ბინაზე,*
*დედა შენც ნახე თავადა,*
*თორემ დაგიწყებს ლოდინსა,*
*დარდით გახდება ავადა.*

უთხრა და ფეხი გაუხსნა, ლხენით ავსილი ჩიტუნაც მიჰქრის ჭიკჭიკით დედისაკენ!

პოეტს თვით სჯერა ბავშვის სიკარგე და ამ ოპტიმიზმს ჩვენც გადმოგვდებს, ჩვენც გვაზიარებს.

ჩილიკაჯოხი, ჭიდაობა, ცხენობანა, მწყემსობა თუ ციგაობა, თუ სკოლისაკენ სწრაფვა და სწავლის სიყვარული, — უშუალობით აგვიწერს ყველაფერს ნორჩი თაობის გუთამხილავი. პატარა ქალებს ცალკე თავისი სამყარო აქვთ, — დედოფალებთან შრომა-ფუსფუსი, და გრძნობთ, რა კეთილ ღიმილს მოაბნევს მარგალიტებად, მათზე წერისას, ბავშვთა მგოსანი. აბა, ის ვანოც გავიხსენოთ, ანკესს რომ ველარ შველია, დედასთან ბევრჯერ დადებული პირობაც რომ გადაავიწყდა... და ტოტოჩინა, დიდ ლოქოსთან ჭიდილ-ძიძგილში, უეცრად წყალში ჩაიყლაპა, შიგ მორევში ამოჰყო თავი! დიდის წვალებით გამოცურდა ნაპირს, მაგრამ

*ჩვენს ცელქ მეანკესეს*
*აღარ ჰქონდა თავზე ქუდი*
*და თქვა: მარტო თევზაობა*
*ყოფილაო მართლა ცუდი.*

შიო მღვიმელის კალმის წვერზე მთელი ბუნება გაცოცხლებულა: კურდღლები ყირას გადადიან, კუჭკუჭებს მელა ცრუპენტელა, ან შემოგრივით ბავშვების მორთულ-მოკაზმული ფისუნია; ხმას ამოიღებს გამრჯე ფუტკარი, ბერი მუხა, აქ დაიმორცხვებს ლურჯქათიბა პატარა ია, იქ დაცუნცულებს „თვალებვიწრო, ხარბი თაგუნა", ყოველ სულდგმულს თავისი წვლილი მოუტანია შიო მღვიმელის წიგნის ფურცლებზე და, როგორც გრძნეული კეთილ ჯადოქარს, თან მოჰყოლიან ყმაწვილების გასაცნობად და სალაღობოდ!

ზამთარია, თუ გიჟი მარტი, შემოდგომა თუ გაზაფხული—თავისი კუთხე გაიჩნია შიო მღვიმელის ნაწარმოებებში, მაგრამ ყველაზე საყვარლად მაინც ჩვენი მერცხლების, უამრავი მერცხლის ჟღურტული ჩაგესმით ყურში:

*მე პაწია მერცხალი ვარ,*
*მოჭიკჭიკე, მოალერსე,*
*ნეტავი რა დაგიშავე,*
*ქვებს რომ მესვრი, ბიჭო სესე!*

ხელგაშლით ხატავს ძია შიო გულთეთრა ფრთოსნებს თავის წიგნში, — კიდევ და კიდევ გვხვდება მერცხლები. ერთ პოემაში მათს გასაოცარ ამბავს მოგვითხრობს, მათს კეთილშობილ გრძნობებს გვაცნობს, — მშობლიურ გრძნობებს, — სიყვარულისთვის თავგანწირვას.

ასე მგონია, თვით ძია შიო ჩვენი საბავშვო პოეზიის მერცხალი იყო,— ყოველ გაზაფხულს, ანუ ყოველი ახალთაობის მობრძანებას რომ შესჭიკჭიკებს, შეჰხარის და შეჰფოფინებს!

შიო მღვიმელს აქვს ბევრი ლექსი, სადაც აგვიწერს ბავშვის ობლობას, მის ბედშაობას, გადმოგვიშლის ობლის ნატვრას, სწავლის წყურვილს.

*სად დამემალე, სად წახველ,*
*ვისთან იყავი, დედაო?*
*სამი ღამეა, მშიერი*
*ვიძინებ ზედიზედაო.*

ბავშვთა მგოსანმა თვით განიცადა მწარე ობლობა. მისი ბავშვობა ხომ გაუხარელ დროში მოემწყვდა, როცა ხელმოკლე ადამიანს სკოლის კარსაც არ ანახვებდნენ. ანდა, სად იყო სოფლად სკოლა! ბავშვთა მგოსანი სოფელ ბრეთში დაიბადა (დღეს — ქარელის რაიონი), 1866 წლის 12 თებერვალს. შიოს ნამდვილი გვარი არის ქუჩუკაშვილი, ხოლო „მღვიმელი" — მწერალმა ნიკო ლომოურმა შეარქვა თურმე, და ფსევდონიმად გაჰყვა შემდეგ მწერლობაში.

პაწია შიო მეათე ვაჟიშვილი იყო ოჯახში, — დაკვირვებული, ცნობისმოყვარე და უწყინარი. ადრე დაობლდა. უფროსი ძმები პატრონობდნენ. ზოგჯერ, შორეულ სამსახურში გამგზავრებულებს, თან მიჰყავდათ პატარა შიო; ასე გაეცნო საქართველოს სხვადასხვა კუთხეს.

დღეს, ჩვენი ბავშვი სკოლაში წასვლას გულდაჯერებით მოელოდება და ეჭვიც არავის ეპარება, რომ ისწავლის და საწადელი აუსრულდება. მაგრამ, შიო ქუჩუკაშვილის ბავშვობაში არ იყო ასე! მრავალ ბავშვს, მათ შორის შიოსაც, სწავლა სწყუროდა. შიომ ოთხკლასიანი სასწავლებელი დაამთავრა ქალაქ გორში. ეგ იყო და ეგ. მაგრამ კეთილი ადამიანი არ დაილევა ამ ქვეყანაზე; და შიომ მათი დახმარებით გაიკაფა გზა ცხოვრებაში; მის თვითშეგნებას აყალიბებდა ქალაქ გორის მოწინავე ადამიანთა მისწრაფება და ქველმოქმედება, ვინც დახმარების ხელს უწვდიდა მოზარდ შიოს. მის პოეტურ ნიჭს ასაზრდოებდა ხალხური ზეპირსიტყვაობა: უამრავი იგავ-არაკი, ზღაპარი, ლექსი, შაირები, გამოცანები...

შიო მღვიმელის შემოქმედებაზე წარუშლელი კვალი დატოვა ილიასა და აკაკის პატრიოტულმა პოეზიამ, ვაჟა-ფშაველას მგზნებარებით ამეტყველებულ-გაცოცხლებულმა ჩვენმა ბუნებამ, ეკატერინე გაბაშვილის მშვენიერმა, საყმაწვილო მოთხრობებმა, განსაკუთრებით კი — იაკობ გოგებაშვილმა. ამ მოწინავე პედაგოგის ზეგავლენით, წაქეზებით, შთაგონებით, სამშვილიშვილო წმინდა მიზანი დაესახა საასპარეზოდ მომავალ მგოსანს.

მონდომებამ და მოწადინებამ — თავისი ალო გაიტანა. 1885 წელს დაიბეჭდა შიო მღვიმელის პირველი ლექსი. და იმ დღიდან, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე, არ მოღლილა ნორჩი თაობის სამსახურში. თანამშრომლობდა იმდროინდელ საბავშვო ჟურნალებში—„ნაკადულსა" და „ჯეჯილში". მან სიკვდილამდე ერთგულა თავის მიზანს, თავისი პატარა მეგობრების სულს და გულს ჩასწვდა ლექსებით, შეჰხაროდა მოზარდების ნათელ მომავალს.

შიო მღვიმელი პირველი ჩადგა საბჭოთა ქვეყნის დიდ საბავშვო პოეზიაშიც, მან დაამკვიდრა და განამტკიცა საუკეთესო ტრადიციები. ჩვენს პიონერებს შიო მღვიმელმა მიუძღვნა ლექსი:

*ვარ პატარა პიონერი,*
*ვმეთაურობ ტოლს და სწორებს,*
*სკოლამიაც კარგად ვსწავლობ,*
*სულ არ ვიღებ ერთს და ორებს...*

სასიქადულო, ბავშვთა პოეტი გარდაიცვალა 1933 წლის დეკემბერში, სამოცდაშვიდი წლის ასაკში.

შიო მღვიმელის ბოლოსიტყვად, პოეტის კრედოდ (ანუ, მრწამსად) მოვიყვანთ ერთ ლექსს, მოხუცებულმა „ყრმებს" რომ მიუძღვნა:

*არასოდეს არ ვყოფილვარ*
*მე ყრმათათვის შორეული,*
*აი, ახლაც თქვენთან ვცელქობ,*
*ტკბილი გრძნობით მორეული...*

და თითქოს ყველა ბაბუას განცდას ერთად თავმოყრილს გამოხატავს, მწარ-ტკბილი ღიმილით ასე დასძენს: „მე ფიქრით მოგდევთ ჯოხის ცხენებზე გადამსხდარ ბავშვებს, მაგრამ უკვე შორს გამასწარით, და ჩემმა ცხენმა ვერ აუსწროო დიდ ალმართზე თქვენს ყოჩაღ რაზმებს"...

*და მეც ის მსურს, რომ მჯობნიდეთ,*
*ყველაფერში იყოთ მალი*
*და მოიპოვოთ უკეთესი*
*სიცოცხლე და მომავალი.*

**მაყვალა მრევლიშვილი.**



# ნახვამდის

ჭაგუ მებურიშვილი

ნახვამდის, ბაკურიანის
გადათოვლილო მთებო,
მთებო თუ თოვლის სვეტებო,
მზის შუქით ანანთებო.
ნახვამდის, შადრევნებივით
ცამდე აწვდილო ნაძვნო,
უნდა წავიდეთ, როგორმე
უთქვენოდ უნდა გავძლოთ.
ნახვამდის, ნისლო ფაფუკო,
ლაჟვარდში მონარკალო,
სტრიქონებივით ნაწერო
თხილამურების კვალო.

ნახვამდის, ამხანაგებო,—
ჩამოსულო და მკვიდრო...
ღრუბლების პარაშუტებო,
თოვლო, თეთრო და დიდო!—
მივდივართ პიონერები,
გთხოვთ დაგვილოცოთ გზები...
გაისად, ამ დროს, უთუოდ
ხელახლა გესტუმრებით.
კიდევ და კიდევ ნახვამდის,
ბაკურიანის მთებო,
მთებო თუ ბროლის სვეტებო,
მზის შუქით ანანთებო.

# თოვლი თბილისში

ანზორ აბულაშვილი

ქარმა სამ დღეს იქროლა,
მერე ორ დღეს აწვიმდა:
ნარიყალას, დიდუბეს,
მახათას თუ მთაწმინდას.
მერე შემოეპარა
წვიმას ფიფქი თოვლისა,

და დაბარდნა თბილისი
თოვლმა საღამოისას...
მძვინვარებდა სამი დღე
ქარი, როგორც აფთარი,
და მესამე საღამოს
მოიტანა ზამთარი.



სცრიდა ფიფქებს ცქრიალით
ცის თუ ნისლის საცერი...
წამოჭიმეს ბავშვებმა
თოვლის თეთრი კაცები.
გამოძებნეს ციგები,
თხილამურიც მოძებნეს.
ელექტრონის ჩიტები
ისხდნენ მაღალ ბოძებზე.
და იმ თოვლში ქალაქი
ზღაპრულ ფერად აენთო;
თეთრი ფერი ჩამოწვა
ყველგან,—შინ და გარეთო.
და მოჩანდა ღამითაც:
თეთრად როგორ დახატა
თოვლმა ვაკე, დიდუბე,
მთაწმინდა თუ მახათა.
ირგვლივ იდგა ხალისი,
სულ სხვა სხივით გამთბარი,
და მეფობდა სითეთრით
თბილისური ზამთარი.

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

# ჩემპიონის ბავშვობის მეგობრებში



## შეხვედრა ჩემპიონთან



ეს იყო 1962 წელს. გაზაფხულის მახარობელი მერცხალივით შემოფრინდა საქართველოში ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვალე გამარჯვების ცნობა. ყველა გულით ულოცავდა ნონას „ჭადრაკის დედოფლობას". და რა გასაკვირია, თუ ყველაზე მეტად ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლაში გაიხარებდნენ? ნონა ხომ ამ სკოლის კედლებში აღიზარდა და აქედან გავიდა ცხოვრების ფართო გზაზე. — გვასახელა ჩვენმა ნონამ! — სიხარულით ამბობდნენ ნონას ყოფილი მასწავლებლები. —გაიმარჯვა ჩვენმა ნონამ! — ამაყობდნენ პიონერები და მერე ერთხმად გადაწყვიტეს შეხვედრა მოეწყოთ ნონა გაფრინდაშვილთან.

იმ დღეს უჩვეულოდ აფუსფუსდნენ პიონერ-მოსწავლეები. საგანგებოდ მორთეს პიონერთა ოთახი, ყვავილებითა და გირლიანდებით შეამკეს სადარბაზო და გულისფანცქალით დაელოდნენ სასურველ სტუმარს. სულ მალე, ჭადრაკის მოყვარულებითა და თაყვანისმცემლებით გარშემორტყმული, მსოფლიოს ჩემპიონიც მოვიდა.

შეხვედრაზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა. მსოფლიოს ჩემპიონს ყვავილების დიდი თაიგული და საჩუქრები მიართვეს. ნონამ მადლობა გადაუხადა ყველას. მან სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენია ყველა მისი ყოფილი მასწავლებელი, მოიგონა სკოლაში გატარებული წლები.

შეხვედრის დასასრულს მსოფლიოს ჩემპიონმა სკოლის ჭადრაკის მოყვარულებს 10 დაფაზე ერთდროული სეანსი ჩაუტარა. რვა დაფაზე გაიმარჯვა, ხოლო ორთან, ქეთევან ჭელიძესთან და რევაზ დარასელიასთან, ყაიმით დაამთავრა ბრძოლა.

ამ შეხვედრის შემდეგ გადაწყდა: სკოლის პიონერული რაზმეულისათვის მსოფლიო ჩემპიონის — ნონა გაფრინდაშვილის სახელი მიენიჭებიათ.

## ენგურჰესის მშენებლებთან



რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარემ ნუგზარ ხორავამ რაზმის საბჭოს თავმჯდომარეები პიონერთა ოთახში შეკრიბა. ამ საგანგებო შეკრებას სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ქეთევან ზარანდიაც დაესწრო.

— თქვენ კარგად იცით,—თქვა ქეთევანმა, — თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ენგურჰესის მშენებლობას; ისიც კარგად იცით, რომ ამ გრანდიოზული მშენებლობის ერთ-ერთი უბანი, კერძოდ — საბერიოს უბანი, ტერიტორიულად ახლოსაა ზუგდიდთან. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთ ჩვენს პიონერ-მოსწავლეს არ უფიქრია იმაზე, თუ რით შეგვიძლია დავეხმაროთ ჰესის მშენებლებს.

ქეთევანის სიტყვებმა ყველა დააფიქრა. ბოლოს მურთაზ ბაღათურიამ აიღო სიტყვა:

— წინადადება შემომაქვს, შევაგროვოთ მხატვრული ლიტერატურა და მშენებელთა ბიბლიოთეკას გადავცეთ საჩუქრად.

ეს აზრი ყველას მოეწონა. მერე მარინე სორდიამ დაუმატა:

— საბერიოს გამწვანებაში ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა, ყვავილნარში ლუგუსტრუმი ვახაროთ.

სულ მალე კომკავშირის ზუგდიდის რაიკომმა ენგურჰესის მშენებლობაზე გასვლითი პლენუმი ჩაატარა, რომლის მუშაობაშიც ჩვენმა ნაცნობმა პიონერ-მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პიონერთა სიტყვა და საქმე ერთი იყო: — მშენებლობის საბერიოს უბანზე ჩაიტანეს და დარგეს 200 ძირი ლუგუსტრუმის

ნერგი, ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს სხვადასხვა დასახელების მხატვრული ლიტერატურა შეჰმატეს და სპორტსმენი მშენებლები ფრენბურთის ბადითა და ბურთით გაახარეს.

## „მილიციელის ნორჩი მეგობარი“



ის იყო ნანა ხურცილავა სკოლაში მივიდა, რომ ზარიც დაირეკა. მოსწავლეები ფაციფუცით გარბოდნენ საკლასო ოთახებისაკენ და თავთავიანთ ადგილებს იკავებდნენ. ნანას დაღვრემილობა ემჩნეოდა, რაღაცაზე დაფიქრებულიყო და ზარის ხმა ვერც კი გაიგონა, — აუჩქარებლად მიაბიჯებდა.

— შენ რა, სეირნობის ხასიათზე ხარ? — წამოეწია ფიქრებში წასულ გოგონას უფროსი პიონერხელმძღვანელი დარეჯან იოსავა. — ზარის ხმა ვერ გაიგონე?

ნანამ დაბნეული მზერა მიაპყრო ხელმძღვანელს, მერე დაცარიელებულ დერეფანს გახედა, — „ზარი დარეკილაო“ — გაიფიქრა და თვითონაც გაიქცა საკლასო ოთახისაკენ.

როგორც იქნა პირველი გაკვეთილიც დამთავრდა. შესვენებაზე ნანა თვითონ მივიდა ხელმძღვანელთან და ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

ნანას ნაამბობმა ხელმძღვანელი დააფიქრა, — რაღაც უნდა ვიღონოთ, — თქვა მან და იმ დღეს სახელდახელო შეკრება მოიწვია.

— არა მგონია, — თქვა შეკრებაზე ხელმძღვანელმა, — ჩვენს შორის იყოს ვინმე ისეთი, ჩვენი ქალაქი რომ არ უყვარდეს. მაგრამ დღემდე არავის არაფერი უთქვამს იმაზე, რამაც ასე აალელვა ჩვენი ნანა ხურცილავა. აბა, მოვუსმინოთ მას.

— ჩვენს ქალაქში, — დაიწყო ნანამ, — მძღოლებიცა და ფეხით მოსიარულენიც ხშირად არღვევენ ქუჩაში მოძრაობის წესებს. ტაქსებისა და ავტობუსების გაჩერებებზე არ იცავენ რიგს, ფეხით თელავენ გაზონებს, არ იცავენ სისუფთავეს, — პაპიროსის ნამწვავებსა და ხილის ნარჩენებს პირდაპირ ტროტუარებზე ჰყრიან...

იმ დღეს ბევრი ილაპარაკეს და იმსჯელეს პიონერებმა. ზოგმა ისიც კი თქვა, — რა ჩვენი საქმეა ქუჩაში წესრიგის დაცვაო.

— მართალია, — თქვა ხელმძღვანელმა. — მთელს ქალაქში ჩვენ ვერ დავიცვათ წესრიგსა და სისუფთავეს, — ეს ჩვენს ძალღონეს აღემატება, მაგრამ ის ხომ შეგვიძლია, ჩვენს სამოქმედო მიკრორაიონში მაინც დავიცვათ წესრიგი?

— სწორია, შეგვიძლია! — გაისმა აქეთ-იქიდან. და იმ დღიდან მსოფლიო ჩემპიონის სახელობის რაზმეულის პიონერები მილიციელის ნორჩი მეგობრები გახდნენ.

ზურაბ კაჭარავა, სოსო ფიფია, გურიელ შელია, თამაზ ქარდავა, თენგიზ ჯიშკარიანი და სხვები მილიციის უმცროსი ლეიტენანტის ნუცა როგავას სანაქებო თანაშემწეები გახდნენ. ყოველთვის, როცა მილიციელის ნორჩი მეგობრები ნუცა როგავას კაბინეტში გამოცხადდებიან და თავიანთ მზადყოფნას უპატაკებენ, უმცროსი ლეიტენანტი სიხარულით ეგებება მათ, ჩამოურიგებს წითელ სამკლავეებს და მორიგ დავალებას გააცნობს ხოლმე. „ნორჩი მილიციელებიც“ ყურადღებით ისმენენ უფროსის ბრძანებას და თავთავიანთ საგუშაგოსაკენ მიდიან.

## „მწვანე ოქრო“



წვიმდა და წვიმდა გაუთავებლად. მოხუცები ამბობდნენ, — ცა ძირს ჩამოვიდაო. წუხდა ყველა, განსაკუთრებით წუხდნენ მეჩაიეები. ფერხდებოდა გეგმის შესრულება. და აი, სხვებთან ერთად, ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის რაზმეულმაც გაუწოდა დახმარების ხელი რაიონის მეჩაიეებს. პიონერ-მოსწავლეებმა 30 ტონა ჩაის მოკრეფა იკისრეს და არა მარტო შეასრულეს პირობა, — გადააჭარბეს კიდეც, — ნაცვლად 30 ტონისა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 61 ტონა „მწვანე ოქრო“. სახელი გაითქვეს ნორჩმა მკრეფავებმა. ზურაბ მიქავა, თენგიზ მოლაშხია, მანანა შედანია, ნესტან ქანთარია და, რომელი ერთი დავასახელოთ! მარტო ქეთინო გუბელაძემ, თამაზ თოლორაიამ და მურმან ბოკუჩავამ 600-600 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს და ჩაის კრეფის სარაიონო გეგმის შესრულებაში მათაც შეიტანეს თავიანთი წვლილი.

## „ჩვენი წკეპლა“



ნ. გაფრინდაშვილის სახელობის რაზმეულის პიონერები დაუნდობლად ამხელენ და წესრიგისაკენ მოუწოდებენ ყველა ონავარს. ერთხელ, „პიონერული ფარნის“ წევრებმა რეიდი მოაწყვეს ქალაქში; იყვნენ კულტურისა და დასვენების პარკში და იქ თანარაზმელების ონავრობას წააწყდნენ: გიორგი პერტაია, ოთარ გოგოხია, თენგიზ კუკავა და თემურ შონია ხეზე ასულიყვნენ, დაუნდობლად ამტვრევდნენ ტოტებს და მადიანად შეექცეოდნენ მის ნაყოფს. რეიდის მონაწილეებმა ფოტოები გადაუღეს ხეზე ასულებს. როცა ონავრებმა ეს მამხილებელი სურათები

სატირულ-იუმორისტულ კედლის გაზეთში — „ჩვენს წკეპლაში“ იხილეს, ძლიერ დაიმორცხვეს, მერე კი პირობა დადეს, რომ მსგავს რამეს აღარასოდეს არ ჩაიდენდნენ და თვითონ გახდებოდნენ „პიონერული ფარნის“ აქტიური წევრები. ბიჭებმა პირობა გაამართლეს, ისინი ახლა სხვებისთვის მაგალითის მიმცემნი არიან და დაუნდობლად ამხელენ ყველას, ვინც უწესოდ მოიქცევა.

„ჩვენი წკეპლა“ არც აკადემიურად ჩამორჩენილებს ინდობს. და ვაი მას, ვისაც მისი წკეპლა მოხვდება, — სცემს და სუსხავს მანამდე, ვიდრე ორიანს ოთხიანად ან ხუთიანად არ აქცევს.

## „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი“



მეხუთე რაზმში იმ დღეს უჩვეულო ჩოჩქოლი იყო. რაღაცაზე გაჯავრებული რუსუდან ძიგუა მარინე სორდიას ეკამათებოდა, იქით დოდო ფარცხვანია უტევდა თენგიზ გაბედავას:

— სულ მაგათი ბრალია! — ცხარობდა დოდო.

— სირცხვილი მაგათ არ აწუხებთ და სინდისი. მაგათ გამო ჩვენი რაზმი პიონერულ ხაზზე აკადემიურად ჩამორჩენილ რაზმად გამოაცხადეს,— გულისტკივილით ამბობდა რუსუდანი.

— ჩვენი რაზმი რომ ჩამორჩენილად გამოაცხადეს, ეს მართლაც სამარცხვინოა, — ჩაერია ლაპარაკში რაზმის საბჭოს თავმჯდომარე მარინე სორდია, — მაგრამ, აბა მითხარით, რა ვიღონეთ, რით დავეხმარეთ რევაზს ან ვალერის, იქნებ მათ მართლაც ვერ დასძლიეს არითმეტიკა და ინგლისური?

ამ სიტყვებმა ყველა ჩააფიქრა...— იქნებ მართლა ვერ დასძლიეს და ჩვენ ეს მათ სიზარმაცეს მივაწერეთ?..

— ასეა თუ ისე, — ახლა ნანული ხორავამ დაიწყო,—გამოსავალი უნდა ვიპოვოთ. უწინარეს ყოვლისა, ბიჭებს დავეხმაროთ ნიშნების გამოსწორებაში.

— მართალია, სწორია, — გაისმა აქეთ-იქიდან.

ამ დროს თენგიზ გაბედავა აწრიალდა მერხზე. ხელმძღვანელმა შენიშნა.

— რაო, თენგიზ! რა გაწუხებს? ადექი, თქვი!

თენზიგმა მორიდებით დაიწყო:

— რევაზი და ვალერი არც პირველები არიან და არც უკანასკნელები. ასეთი რამ ბევრ ჩვენგანს ემართება. ამიტომ, ვფიქრობ, ურიგო არ იქნება, თუ ჩვენს რაზმში ავირჩევთ ჯგუფს, რომელიც დაეხმარება ამა თუ იმ პიონერს ცუდი ნიშნის გამოსწორებაში.

— ბიჭოს, ეს მართლაც კარგი აზრია! მერედა, რა ვუწოდოთ ასეთ ჯგუფს? — ჰკითხეს თენგიზს.

— რა და, — „სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი“.

ეს აზრი რაზმეულშიც მოიწონეს და ასეთი ეკიპაჟები ყველა რაზმში გაჩნდა; ისინი დაუზარებლად ეხმარებიან ყველას, ვინც კი ამას საჭიროებს, და აკადემიურად ჩამორჩენილთა რიცხვიც თანდათან კლებულობს.

რევაზმა და ვალერიმ დიდი ხანია გამოასწორეს ნიშნები. ახლა ისინი ისე კარგად სწავლობენ, რომ რაზმის საბჭომ გადაწყვიტა — ბიჭები „სასწრაფო დახმარების“ ეკიპაჟის წევრებიც კი გახადონ.

* * *

თქმა არ უნდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი კვლავ ესტუმრება მშობლიურ სკოლას და მისი სახელობის რაზმეული კიდევ უფრო მეტად გაახარებს კარგი სწავლითა და სასახელო საქმეებით.

**თემურ ცაგარელი.**

მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი.

## ოქროს საწმისი

ვ. გოეთე: ვინც წესად შემოიღებს იმას, რომ საქმე აზრით შეამოწმოს, ხოლო აზრი—საქმით, იგი არ შეიძლება შეცდეს, და თუ მაინც შეცდება, — მალე კვლავ სწორ გზაზე აღმოჩნდება.

ტ. კარლეილი: არაფერი არ გვარგებს ისე, როგორც საკუთარი შეცდომის აღიარება. ეს — თვითაღზრდის ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

კონფუცი: ნამდვილი შეცდომა ის შეცდომაა, რომლის გამოსწორებაც შეუძლებელია.

ვ. ი. ლენინი: ჭკვიანი ის კი არაა, ვინც შეცდომებს არ უშვებს, ასეთი ადამიანები არ არიან და არც შეიძლება იყვნენ; ჭკვიანია ის, ვინც უშვებს არცთუ ისე დიდ შეცდომებს, და ვისაც შეუძლია ადვილად და მალე გამოასწოროს ისინი.

პეტრე I: მე ვიცი, რომ მეც ვცოდავ ხოლმე და ხშირად ვცდები. ამიტომ, არასოდეს გავუბრაზდები მას, ვინც ამ დროს გამაფრთხილებს და ჩემს შეცდომებზე მიმითითებს.

სენეკა: პატარ-პატარა შეცდომებიდან კაცი სულ ადვილად შეიძლება გადავიდეს დიდ შეცდომებზე.

სუნ-ძი: ის, ვინც სწორად მიმითითებს ჩემს შეცდომებზე — ჩემი მასწავლებელია; ის, ვინც სწორად აღნიშნავს ჩემს ნამდვილ ქცევებს — ჩემი მეგობარია; ის, ვინც მეპირფერება — ჩემი მტერია.

ციცერონი: ადამიანისათვის დამახასიათებელია შეცდომები, ბრიყვისათვის კი — თავისი შეცდომის დაჟინება.



ჟურნალში ახალი განყოფილების „ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე..." გახსნასთან დაკავშირებით, სარედაქციო კოლეგიის წევრმა ფილიპე ბერიძემ, თხოვნით მიმართა სახელოვან ქართველ მწერალს **კონსტანტინე გამსახურდიას**, გამოეთქვა თავისი აზრი ჟურნალში ამ განყოფილების გაჩენასთან დაკავშირებით, ამასთან ერჩია, რა საკითხებისა და პრობლემების წამოწევას მიიჩნევდა აუცილებლად.

გთავაზობთ ამ საუბრის ტექსტს.

**ხედავთ თუ არა რაიმე სპეციფიკურ თვისებას საბავშვო მწერლობაში?**

— მე პირადად ასე ვფიქრობ: ყველა დიდი მწერალი საბავშვო მწერალია. არა მგონია, საბავშვო ლიტერატურას რაიმე განსაკუთრებული ნიშან-თვისება ჰქონდეს. ლევ ტოლსტოი და ვაჟა-ფშაველა საუკეთესო საბავშვო მწერლები იყვნენ. ტყუილად ფიქრობენ, რომ ბავშვებზე და ბავშვებისათვის ყმაწვილებმა უნდა წერონ.

თქვენი ჟურნალი იმ ასაკის ახალგაზრდებსაც ემსახურება, რომელ ასაკშიც არა ერთი და ორი მხატვრული შედევრი შეუქმნია ბევრ მწერალს, და „პიონერის" მკითხველები კარგი ნაწარმოების გასაგებად მაინც უნდა იყვნენ მომზადებულნი.

**რით ხსნით იმ ფაქტს, რომ თქვენ საბავშვო მწერლობისათვის ხარკი არ გაგიღიათ?**

— მართალია, უშუალოდ ბავშვებზე არაფერი დამიწერია, მაგრამ ყველა ჩემი წიგნი გონებაგახსნილი, მხატვრულ სტრიქონს მოწყურებული ბავშვის მეგობრად და მასწავლებლად მიმაჩნია.

**რა შთაბეჭდილება გამოგყვათ ბავშვობიდან და გამოგადგათ თუ არა იგი შემოქმედებაში?**

— ბუნებისადმი სიყვარული დამყვა ბავშვობიდან. მამაჩემს დიდი ბაღი ჰქონდა, აუარებელი ცხოველი და ფრინველი ჰყავდა. მე ნადირობის ტრფიალი ვიყავი პატარაობიდანვე. ჩემს შემოქმედებაში იხილეთ ეს შთაბეჭდილება.

**რა გრძნობების გაღვივებას ურჩევდით ბავშვებს?**

— ყველა კეთილშობილური გრძნობებისა: პირდაპირობა, კაცთმოყვარეობა, მეგობრობა.

**მეგობრულ ურთიერთობაში გრძნობას უფრო გადამწყვეტ როლს ანიჭებთ თუ გონებას?**

— გონებამ ანგარიში და დაწვრილმანება იცის; გრძნობა უფრო წრფელი, უანგაროა და მეგობრულ ურთიერთობას პირდაპირ ესიტყვება მისი ბუნება, მაგრამ გონების გარეშეც არაფერი გაკეთდება სახეირო.

ჭეშმარიტი მეგობრობა გრძნობისა და გონების ჰარმონიულ მოქმედებას ეყრდნობა.

**რა მიგაჩნიათ ბავშვის უდიდეს დანაშაულად?**

— ქურდობა და ტყუილი. დედაჩემი მარადჟამს მასწავლიდა: თუ ტყუილი თქვი, ღმერთი არ შეგიყვარებსო.

**მშობლის უდიდეს დანაშაულად რას თვლით?**

— უყურადღებობას და გულგრილობას შვილის მიმართ.

**ვის დააკისრებდით ბავშვის უპირველესი აღმზრდელისა და გზის გამკაფავის როლს?**

— ჯერ დედას და მერმე კარგ მასწავლებელს. ჩემი მეუღლე გადაყოლილია შვილების აღზრდას.

**რომელი ქართველი მწერლის სიყვარულს უხურვებდით ბავშვებს?**

— მათ გულმოდგინედ და განუწყვეტლივ უნდა იკითხონ ვაჟა-ფშაველა.

**რას ურჩევდით მასწავლებელს?**

— მოთმინებას. მან კარგ ხასიათზე უნდა დააყენოს უხასიათო ბავშვი. პედაგოგობა უმძიმესი ხელოვნებაა, ერთ დროს მეც ვიგემე მისი სიტკბო და სიმწარე.

რაც უფრო მშვიდად, დინჯად და შეგნებულად მოექცევა ბავშვს პედაგოგი, მით უფრო კარგ ზეგავლენას მოახდენს მასზე. მასწავლებელი ხშირად გმობს და ალიაქოთით ხვდება ისეთ რამეს, რომელიც დუმილით და გვერდის ავლით უფრო გამოსწორდება, ვიდრე ყვირილით და ყურის აწევით.

**პატივცემულო კონსტანტინე, „პიონერის" რედაქციამ შემოიღო ახალი განყოფილება — „ვიდრე ცხოვრების დიდ გზაზე გახვიდოდე..." რა საკითხებისა და თემების გაშუქებას ურჩევდით ჟურნალს ამ განყოფილებაში?**

— საუცხოო ინიციატივაა. ხშირად, არასწორად წარმართული აღმზრდელობითი მუშაობის შედეგად ბავშვები ეჩვევიან მეტიჩრობას, არაგულწრფელობას, უპირველეს ყოვლისა, ამ სისაძაგლეს უნდა ებრძოლოს ჟურნალი.

უზომო გატაცება სიმღერითა და ცეკვით ბავშვებს შრომის დეზერტირებად აქცევს. ნამეტნავად ნუ გავაღვივებთ ხელოვნების სიყვარულს, გეზი შრომისაკენ უნდა ავიღოთ. ხელოვნების სიყვარული უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ იგი ორლესულ მახვილს ჰგავს და მოულოდნელად აცთუნებს სუბიექტს. მხატვრული ტალანტი ნავთივითაა, — მიწის წიაღში არ დარჩება.

**რა აზრის ბრძანდებით ქართველ ახალგაზრდობაზე?**

— დიდად ნიჭიერი და ყოვლისშემძლე ახალგაზრდობა გვყავს. გული მტკივა, რომ ზოგიერთი მათგანი უაზროდ ფლანგავს დროს და ოქროს წუთებს მაქსიმალურად არ იყენებს. საქმე ისე უნდა წარმართო, რომ სიბერის ჟამს თავში ხელი არ შემოიკრა.

— მხურვალედ ვულოცავ ახალ წელს „პიონერის" რედაქციას და მის მკითხველებს.

სიყვარულით გიხვევით, ჩემო პატარა მეგობრებო. აბა, თქვენ იცით.

**დიდ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის. გისურვებთ მხნეობას.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლუარსაბ ვაჩნაძე




ვინ იცის, ქართველ ერს რამდენი გმირი წარმოუშვია თავისი არსებობის მანძილზე. ბევრი გმირის სახელი, ალბათ, სამუდამოდ დაგვეკარგა, მაგრამ რაც კი გადაგვირჩა, დიდი განძია საქართველოს სახელოვანი ისტორიისა.

მამულისათვის თავდადებულთა რიცხვს ეკუთვნის XVIII საუკუნის გმირი ლუარსაბ ოთარის ძე ვაჩნაძე.

ლუარსაბ ვაჩნაძე სიღნაღის მაზრის სოფელ კოლაკის მკვიდრი იყო. ლუარსაბის მამა ოთარ ვაჩნაძე 16 წლის ერეკლე ბატონიშვილს თან ახლდა ინდოეთში, სადაც ირანის მეფე ნადირ-შაჰი სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა. ოთარი იქ გმირულად დაიღუპა. მამით ობოლ ლუარსაბზე ზრუნავდა მისი ბიძა ყაფლან ვაჩნაძე, რომელიც ასევე გმირულად დაიღუპა განჯაში, ფანა-ხანთან ბრძოლაში.

გადმოგვცემენ, რომ 1770 წლის 19-20 აპრილს, ასპინძის ბრძოლის დროს, აწყურის ციხესთან გაშლილ მინდორზე ციხიდან გამოვიდნენ ოსმალთა ძლიერი რაზმები; ერთ-ერთი რაზმიდან ცხენი გამოაჭენა განთქმულმა მეომარმა და დაიძახა: „აბა, ვინც ვაჟკაცი ხართ — გამოდითო“. ქართველთა ბანაკში ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, მერე მეფე ერეკლესთან მიიჭრა მამა-პაპათა გმირული სულით ანთებული 30 წლის ვაჟკაცი ლუარსაბ ვაჩნაძე და ასე მიმართა: — „დიდებულო მეფეო, ამაზე მეტ სირცხვილს ველარ ავიტან. შენი ჭირიმე, ნება მიბოძე ერთი გავეთამაშო ამ წყეულს, ან მოვკლა ან შევაკვდე“.



10.036

მეფე ფიქრს მისცემოდა, უცბად გამოერკვა და უბრძანა: „აბა, ლუარსაბ, გადი! მამა-პაპა არ შეარცხვინო!“

ლურსაბი მოაფრინდა მერანს და მყისვე ოსმალოსთან გაჩნდა.

ოსმალომ შუბი მოიმარჯვა და ცდილობდა მოპირდაპირე ძირს გადმოეგდო, მაგრამ მან მხარი აუკრა. მაშინ ოსმალომ შუბი პირისახეში აძგერა და მძიმე ჭრილობა მიაყენა. მწარედ დაიგმინა ლუარსაბმა, სწრაფად შეატრიალა ცხენი და ერთი სროლით ოსმალო ძირს დასცა. გადმოხტა ცხენიდან, მტერს თავი მოჰკვეთა და მეფის წინ დააგდო. მეფე წამოდგა და გმირს გამარჯვება მიულოცა, სახეც თავის ხელით შეუხვია. „ვაშას“ გუგუნმა იქაურობა გააყრუა. ქართველთა ლაშქარს მტერზე გამარჯვების რწმენა განუმტკიცდა.

ასპინძის გმირულ გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის ლუარსაბ ვაჩნაძეს.

გმირი რაინდი მეფეს გვერდიდან არ მოშორებია. 1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის თბილისში შემოჭრისას, ლუარსაბმა კვლავ იშიშვლა ხმალი. მაშინ მან მეფე ერეკლე გადაარჩინა სიკვდილს, ბრძოლის ველიდან გამოიყვანა და მთიულეთს, კაიშაურში, შეაფარა.

გმირი მამულიშვილი ლუარსაბ ვაჩნაძე 82 წლისა გარდაიცვალა.

ვახტანგ სიდამონიძე.

მხატვარი იური ქლიბაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი მწერალი რევაზ ჯაფარიძე, ახალგაზრდა პოეტი ჯანსულ ჩარკვიანი და პარტიზანული ბრძოლების ვეტერანი ვანო რეხვიაშვილი სიამოვნებით დაგვთანხმდნენ ეამბნათ ჩვენი მკითხველებისათვის ზოგიერთი ეპიზოდი თავიანთი ცხოვრებიდან, რომლებშიც მკვეთრადაა გამოსახული მეგობრობისა და ამხანაგებისათვის გმირული თავდადების მაგალითები. გავშვებოთ, ყურადღებით წაიკითხეთ და გონების თვალით ჩასწვდით მათ.



# რაც მტრობას დაუნგრევია...

**რევაზ ჯაფარიძე**

დედამიწის ზურგზე ძნელია მოიძებნოს მწერალი, ვისაც სულის წრფელი ამოძახილი მეგობრობის უწმინდესი გრძნობისათვის არ მიეძღვნას. სიტყვაკაზმულ მწერლობაში ეს ტრადიცია ჯერ კიდევ უხსოვარ დროიდან მოდის და იგი დღევანდელ დღემდე უცვლელად მოედინება.

მეგობრობის უკვდავი თემა დაედო საფუძვლად სწორუპოვარ „ვეფხისტყაოსანს“. წელს, შემოდგომაზე, მთელი მოწინავე კაცობრიობა მისი შემქმნელის — დიდი შოთას საიუბილეო ზეიმს გამართავს. ეს ზეიმი, რომელიც დედამიწის ხუთსავე კონტინენტს მოედება და, ასე გასინჯეთ, მეექვსე კონტინენტზე—ანტარქტიდაშიაც კი შეაღწევს, მეგობრობის იდეის, სიცოცხლისა და ცხოველმყოფელობის კიდევ ერთი დადასტურება იქნება.

მეგობრობის უბადლო მომღერალი რუსთაველი ყოველი მომდევნო თაობის თანამედროვე და მეგზური იყო. იგი ჩვენს თაობასაც უნათებს და მომავალშიაც გაუნათებს გზას მეგობრობის ბრდღვიალა ჩირაღდნით...

ვის არ სმენია უხსოვარ დროს შექმნილი და ჩვენს დღეებამდე სათუთად შემონახული საგალობელი, რომელსაც, ვინ მოსთვლის, რამდენი საუკუნეა მღერის მრავალ ჭირსა და ვარამში გამოვლილი ქართველი ხალხი:

> რაც მტრობას დაუნგრევია,
> სიყვარულს უშენებია.

აქ ხომ პირდაპირ უპირისპირდება ერთმანეთს კეთილი და ბოროტი მტრობა და მეგობრობა, სიყვარული და სიძულვილი. მტრობა ანგრევს, სიყვარული აშენებს...

სიტყვა „სიყვარული“ სიმღერაში მეგობრობის აზრით არის ნათქვამი. ხალხის გენიას მეგობრობა დაუძლეველ ძალად მიუჩნევია. სიყვარულს — მეგობრობას — სასწაულების მოხდენა შეუძლია.

თუ უფრო ღრმად ჩავუკირკიტდებით, იმასაც ვიტყვით, რომ მეგობრობა, როგორც ჩვენ გვესმის, მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ. იგი ბიოლოგიური ინსტიქტი როდია. მეგობრობის გრძნობა მოაზროვნე არსებათა სულიერ კავშირს გულისხმობს. ზემოთ ნათქვამის დასასურათებლად ისტორიასა და ლიტერატურაში უამრავი მაგალითი მოიპოვება. აი, მე უკვე მომაგონდა დიდი მამულიშვილი ცოტნე დადიანი, რომელმაც მეგობრებისათვის გასწირა თავი, მაგრამ მოყოლით არ მოგიყვებით, რადგან ეს ძალიან გავრცელებული ამბავია, ქვეყანამ იცის და თქვენც უთუოდ გეცოდინებათ.

ცოტნე დადიანის გმირობა, განუსაზღვრელი ერთგულების გამოჩენა მეგობრებისადმი, ისევე, როგორც ივანე სუსანინის, მატროსოვის, მაისურაძის და სხვათა თავდადება, ამ ადამიანების ნათელ გონებაზე, აზრის სიცხოველესა და შეუბღალავ პატიოსნებაზე მეტყველებს.

ამას რომ ვამბობ, ერთი ნამდვილი ამბავი მახსენდება.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს მოხდა 1944 წლის მიწურულს ან 1945 წლის დასაწყისში. იმ ბავშვებს შორის, ვინც ამჟამად ჟურნალ „პიონერს“ კითხულობს, მაშინ ჯერ დაბადებული არავინ იყო, მაგრამ ცოდნით ყველამ იცის, რომ 1945 წელს, გაზაფხულზე, ოთხი წლის სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, რასაც ათეულ მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, დიდი სამამულო ომი დამთავრდა.

იმ დროს, რომლის მოგონებაც მე მოვიწადინე, ომი დამთავრებული არ იყო. ჩვენმა ჯარებმა მთელ სიგრძეზე გადალახეს მდინარე ოდერი, ქვემოთ პომერანიაში შეიჭრნენ, უკან მოიტოვეს კარპატები, ფაშიზმისაგან სამუდამო გათავისუფლება მოუტანეს რუმინელებს, ჩეხებს და სლოვაკებს, ბულგარელებს, უნგრელებს, ალბანელებს, ავსტრიელებს. გამარჯვების

დროშა აფრიალდა ბუქარესტსა და პრაღაში, ტირანასა და სოფიაში, ბუდაპეშტსა და ვენაში...

ბრძოლა გერმანიის მიწა-წყალზე მძვინვარებდა. მტერმა ციხე-სიმაგრედ აქცია ბალტიკის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგური კენიგსბერგი. ჩვენ დიდძალი ჯარი მივაყარეთ ამ ქალაქს. ყოველი მხრიდან ალყა შემოვარტყით.

ის შენაერთი, სადაც ჰოსპიტლიდან დაბრუნების შემდეგ მე ვმსახურობდი, ფრონტის ხაზიდან ძალიან შორს იყო, კასპიის ზღვის სანაპიროზე, ქალაქ მახაჩ-ყალაში. ერთ ღამეს განგაში გამოცხადდა. ათ წუთსაც არ გაუვლია — იარაღი ავისხით და თავიდან ფეხებამდე საომრად აღჭურვილნი ყაზარმის წინ გავმწკრივდით. ეს თურმე უბრალო განგაში იყო. სარდლობა პოლკის მზადყოფნას ამოწმებდა. ვიდრე მწყობრის დაშლის ბრძანება გაიცემოდა და ვალმოხდილები დასაძინებლად წავიდ-წამოვიდოდით, მებუკემ „ყურადღების" დაუკრა და უმალვე სმენად გადავიქეცით. შეწყდა იარაღის კანტიკუნტი ჩხარუნი. წუთით შებმულმა ცხენებმაც კი შეწყვიტეს ფრუტუნი და თითქოს ისინიც ჩვენებრ სმენად გადაიქცნენ.

გენერალმა, ვისი ბრძანებითაც განგაში გამოეცხადებინათ, მოკლე სიტყვით მოგვმართა. ორ ცეცხლშუა მოქცეული მტერი უკვე სულს ღაფავს, მაგრამ ჯერ კიდევ ძლიერია და მისი საბოლოო განადგურება ძალების უკიდურეს დაძაბვას მოითხოვსო. ეს ყველამ კარგად ვიცოდით. შემდეგ თითოეული ჩვენგანის დამსახურებას გადასწვდა. პოლკის ყოველი ჯარისკაცი და მეთაური ორჯერ, სამჯერ და მეტჯერაც იყო დაჭრილი. ჩვენი სისხლი სამშობლოს კიდევ დასჭირდებაო. ბოლოს კი გამოგვიცხადა: სარდლობის საგანგებო დავალების შესასრულებლად ორმოცდაათი კაცი დღესვე უნდა გაემგზავროს თქვენი პოლკიდან და სხვა პოლკებიდან გამოყოფილ ასეთსავე ჯგუფებს შეუერთდესო.

დავალება ძალზე საფრთხილო და პასუხსაგები ჩანდა. უსათუოდ კენიგსბერგის მიმართულებით გვიპირებდნენ გაგზავნას, სხვაგან სად?

გენერალს შეეძლო უბრალოდ ებრძანებინა პოლკის მეთაურისათვის, ამდენი და ამდენი კაცი ამა და ამ საათზე აქა და აქ გაგზავნეთო და პოლკის მეთაურიც, თავის მხრივ, შესაბამის ბრძანებებს დაურიგებდა ბატალიონების მეთაურებს, მაგრამ ის ამჯერად ასე არ მოიქცა.

— ვინ არის მსურველი? — თავისივე ნათქვამით ცოტა აღელვებულმა გვითხრა სულ ბოლოს, — ვინც სარდლობის საგანგებო დავალების შესასრულებლად წასვლის მსურველია, წინ გამოვიდეს!

პოლკის მწყობრი თვალის დახამხამებაში ორად გაიყო. ორმოცდაათი კი არა, რატომ ხუთასი კაცი არ აღმოჩნდა მსურველი! მაგრამ საჭირო იყო მხოლოდ ორმოცდაათი კაცი...

კარგა დრო დასჭირდა, სანამ მსურველების დიდ უმრავლესობას სხვადასხვა მიზეზების გამო უარს ეტყოდნენ და ყველაზე უფრო ახალგაზრდებსა და ჯანმრთელებს, ორმოცდაათ კაცს, ცალკე გაგვიყვანდნენ.

ჯარით სავსე გრძელი ეშელონი იმავე საღამოს გავიდა მახაჩ-ყალიდან.

ზოგ თქვენგანს, ბავშვებო, ალბათ, უმოგზაურია რუსეთის გზებზე და ბევრი დიდებული ქალაქი, გაჩირაღდნებული სადგურები და ტრიალ მინდვრებში გაბნეული სოფლები უნახავს, ტელევიზიის ანტენებითა და ანძებით ახიდულ-ჩახიდული. მაშინ ასე არ იყო. ყველაფერი ულმობელ ომს აღეგავა პირისაგან მიწისა და ნაცარტუტად ექცია. სადგური სადგურს არა ჰგავდა, ქალაქი — ქალაქს და სოფელი — სოფელს.

საშინლად ციოდა. ვაგონში, სადაც 75 კაცი მოვთავსდით, მართალია, ღუმელი ენთო, მაგრამ გარეთ ქარბუქი ღმუოდა, ვაგონის ჭერს შიგნიდანაც კი ყინულის ლოლუები ეკიდა და სიცივისაგან გათოშილნი კბილს კბილზე ვაცემინებდით. ეგ კიდევ რა! ნესტიანი შავი პური, რომელსაც დღეში ორჯერ გვაძლევდნენ, წყალში ნაგდებ აგურის ნატეხივით გაყინული იყო. პურებს გახურებული ღუმელის ირგვლივ დავაწყობდით, შეშებზე, და ვუცდიდით, როდის გალხვებოდა. ლოდინს დიდი დრო მიჰქონდა და ხანდახან, თუკი შიმშილი ძალიან შეგვაწუხებდა, რამდენიმე პურს ცალკე გადავდებდით და ნაჯახის ყუით 75 პატარ-პატარა ნაჭრად დავანაწევრებდით, რათა სხვა პურების გალხობამდე ხემსი გადაგვეყლაპა და სული მოგვებრუნებინა.

სარდლობის საგანგებო დავალების შესასრულებლად იმავე სატვირთო ვაგონით სხვებთან ერთად მიემგზავრებოდა ჩემი კბილა შავგვრემანი ბიჭი. მისი სახელი და გვარი, ამდენი ხნის გავლის შემდეგ, სამწუხაროდ, უკვე დამავიწყდა. ბიჭი, სამხედრო წოდებით უმცროსი სერჟანტი, ვაგონში მყოფი მეომრების უფროსად დანიშნეს. ზოგმა ასეთ დროს უცნაური გაფუყვა იცის. ხელდახელ დაავიწყდება, რომ სანამ უფროსად დანიშნავდნენ, ისიც სხვებსავით უბრალო ჯარისკაცი იყო. ეს ბიჭი ამნაირ ჭკუათხელებს არ ჰგავდა. მეგობრულად გვექცეოდა და ჩვენც, თვალში რომ ჩაგვვარდნოდა, ხელს არ ამოვისვამდით. აბა, ვინ იცოდა, თუ მას მანამდე დასჭირდებოდა ამხანაგებისათვის თავისი ვაჟკაცობის დამტკიცება, ვიდრე მტერს შევებმოდით. სულის სიმტკიცე და დიდი განსაცდელისათვის მზადყოფნა თურმე ყოველთვის საჭიროა.

ერთ დღეს მატარებელმა დილიდან საღამომდე ისე იარა, არ გაჩერებულა. ასე იქნებოდა ალბათ ნაბრძანები. მოულოდნელად უღრან ტყეში გავჩერდით. უმცროს სერჟანტს მაზარაც არ მოუხურია, მაშინვე ძირს ჩახტა და 75 მშიერი ხახის გასაძღომად ეშელონის საწყობისაკენ გაიქცა. საწყობი ბოლოდან მეხუთე თუ მეექვსე ვაგონი იყო. სერჟანტს ბიჭები გაჰყვნენ, რასაკვირველია. აგერ-აგერ კიდევაც უნდა მოერბინათ. უცებ ეშელონი მუხრუჭების ჭრიალით დაიძრა, დაიძრა და წავიდა. ბიჭები არ ჩანდნენ. ელდა გვეცა. ვაითუ ჩამორჩნენ მატარებელს?

სამი თუ ოთხი საათი კვლავ გაუჩერებლივ ვიარეთ. შიმშილი ან სიცივე ვისღა ახსოვდა! ეშელონი ხომ ჩვეულებრივი სამგზავრო მატარებელი არაა. ვაგონიდან ვაგონში ვერ გადახვიდოდი და მატარებელის გაჩერებამდე ბიჭების ამბავს ვერ გაიგებდი.

ნაშუაღამევს, გადაუღებელ თოვაში, ეშელონი რომელიღაც სადგურის ნანგრევთან გაჩერდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ვაგონში ამობობღდნენ სიცივისაგან მთლად გალურჯებული ბიჭები, ვინც უმცროს სერჟანტთან ერთად სანოვაგის მოსატანად იყო წასული, და საწოლად გამართულ ფიცარნაგზე გაყინული პურები, თევზი, ძეხვები და ბალიშისპირში გამოკრული შაქარი დაჰყარეს. ერთ ხანს ყველა ერთმანეთს მივჩერებოდით და ხმას ველარ ვიღებდით. ბო-

ლოს ვილაცამ ენა ამოიდგა და უმცროსი სერჟანტი მოიკითხა. ის მოსულებს შორის აღარ იყო...

აი, რა გვიამბეს ჯავრით გულგასიებულმა ბიჭებმა:

მატარებლის დაძვრისას ისინი ისევ ძირს ყოფილიყვნენ. უმცროსი სერჟანტი პირველი შეხტომოდა კიბეს, ტვირთი ტამბურის იატაკზე დაეწყო და ახლა სხვებს მოხმარებოდა. ასე გაჭირვებით და ჰაიჰარაზე ასულიყო ყველა ფარღალალა ტამბურში, სადაც მომდევნო გაჩერებამდე უნდა მოეცადათ და შემდეგ მოეშურებინათ ჩვენი ვაგონისათვის.

სწორედ ამ დროს მომხდარა წინასწარ გაუთვალისწინებელი რამ: ერთმანეთზე შელაგებული პურების ყორე უცაბედად დანგრეულა და ორი მოზრდილი პური, რომელთაგან თითოეული 4-5 კილოგრამს მაინც იწონიდა, ლიანდაგებში ჩავარდნილა.

მთელი ნახევარი ფუთი პურის დანაკლისი ხუმრობა საქმე როდი იყო. თანაც ხომ შეიძლებოდა ვინმე სულმოკლეს ეფიქრა, სანოვაგის მოსატანად წასულ ბიჭებს, მათ შორის უმცროს სერჟანტსაც, სულმა წასძლია და თავიანთ კანონიერ ულუფას უსმელ-უჭმელი მეგობრების ულუფაც მიაყოლესო?

პურების ამოსატანად ძირს ჩახტომა ვერავინ გაბედა, დრო კი ულმობლად მიჰქროდა. ვიდრე ბიჭები რაიმეს მოისაზრებდნენ, უმცროსი სერჟანტი კიბისაკენ გასხლტა, იქ გალიპულ სახელურს მოეჭიდა და მატარებლიდან გადახტა. ეს ძალიან სწრაფად მოხდა. ბიჭებმა დაინახეს, როგორ გაიქცა ის უკან. მერე მატარებელმა მოუხვია და სერჟანტი თვალს მიეფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ კიბეზე გადმოკიდებულმა ბიჭებმა ის ხელახლა დაინახეს და ყიჟინა დასცეს. უმცროს სერჟანტს პურები იღლიებში ამოეჩარა და მორბოდა. ორჯერ თუ სამჯერ სცადა მარჯვენა ხელის გათავისუფლება და ორივე პურის მარცხენა იღლიის ქვეშ მოქცევა, რათა თავისუფალი ხელი რომელიმე კიბის საფეხურისათვის მოევლო, მაგრამ ამაოდ. ბიჭებს დახმარება არაფრით შეეძლოთ, მატარებელი კი თავდაღმა დაეშვა და, თითქოს განზრახ, სიჩქარეს მოუმატა... სერჟანტი დაიღალა. მალე სირბილი შეწყვიტა. არაქათგამოლეული ბორძიკ-ბორძიკით მოაბიჯებდა...

ბიჭები დადუმდნენ. მატარებელი უკვე დაძრულიყო და მიდიოდა. სამოცდათოთხმეტი ამხანაგის გული და გონება ახლა ერთ ფიქრსა და საზრუნავს შეეპყრო: რა მოუვიდა სერჟანტს? როგორ მივშველებოდით? მას ხომ მაზარაც არ ეცვა. ვერ მოასწრო ჩაცმა. ხომ გაიყინებოდა ამ საშინელ ქარსა და თოვაში! იარაღი მაინც ჰქონოდა. ტყეში ნადირიც საშიშია...

ყველაფერზე უფრო ის გვაშფოთებდა, რომ ომის დროის კანონების მიხედვით ახლა სერჟანტი დეზერტირად ითვლებოდა, დეზერტირობა კი იგივე სამშობლოს ღალატია...

გაგვეჩერებინა მატარებელი? რაიმე ღონე გვეხმარა მეგობრის გადასარჩენად? მაგრამ რით და როგორ? ოთხივე კუთხივ დახშული ვაგონიდან ვის რას გააგონებდი!

გამთენიისას საკვანძო სადგურში

# გულდა როგორ დავივიწყებ, დეიდა თამარ!



ჯანსულ ჩარკვიანი

თორმეტი წლის წინათ დიდი წვიმა მოვიდა, ქარი იყო და თბილისი ეთხოვებოდა დიდ მხატვარს — თამარ აბაკელიას. მე არ ვიცოდი რა იყო ობლობა, მე ახლაც ბედნიერი კაცი ვარ და მაშინ მივხვდი, რომ დაინგრა ქვეყანა, რომ ჩემს მეგობარს — გულდა კალაძეს აღარ ჰყავდა დედა, თამარ აბაკელია.

თორმეტი წლის შერე, მე თქვენ გელაპარაკებით, დეიდა თამარ; მე მაშინ ისე დავვობლდი, როგორც გულდა, ჩემი ძმა და მეგობარი, ჩემი განუყრელი ადამიანი — გულდა.

კი, თქვენ გახსოვთ, ყველაფერი გახსოვთ, მე თქვენ ათას ცხრაას ორმოცდაექვს წელს ყაზბეგის სურათი მაჩუქეთ, სურათს ასეთი წარწერა ჰქონდა — „შვილო ჯანსულ, არ დაივიწყო შენი მეგობარი — გულდა“.

მე ისე მიყვარდით, მე ისე გეფერებოდით, რომ არასოდეს ჩემს სიცოცხლეში, უფრო სწორად, თქვენს სიცოცხლეში არ მეპარებოდა ეჭვი და ასე ვფიქრობდი, გავხდებოდი კაცი და გაგიბედავდით საუბარს სიცოცხლეზე, პოეზიაზე, და იმ დიდ მხატვრობაზე, რომელსაც თქვენ შეალიეთ დიდი სიცოცხლე.

ახლა მე თქვენი აღარ მერიდება, თქვენ ცაში ხართ, თქვენ მზეში ხართ და თქვენ სხვა ქვეყანაში ხართ. ახლა მე თქვენ ყველაფერს გეტყვით: გულდა კეთილი და ღვთისნიერი კაცია!

გულდა ბავშვობაში პიონერთა სასახლეში დადიოდა; ქეთევან ანანიაშვილისათვის უთქვამს, — ერთი რითმების გუდა მეგობარი მყავს და, თუ შეიძლება, მოვიყვანო.

მე წამიყვანა გულდამ, წამიყვანა და გულდა უფრო შემიყვარდა. მერე მე ლექსები დავწერე, გულდამ წიგნად შეკრა და ყდაზე ბარათაშვილის მერანი დაახატა. წიგნს ყდაზე ეწერა: „თვითგამი“, ტირაჟი ერთი ცალი.

გულდას როგორ დავივიწყებ, დეიდა თამარ!

სულ ერთად, სულ ერთად ვიყავით. მერე თქვენ წახვედით ჩვენგან და ჩვენ ერთად ვიტირეთ, — მე და გულდამ

მერე ერთმანეთს ცოტა ხნით ხელი

გავჩერდით. უმცროსი სერჟანტის მოსვლის იმედი კიდევ გვქონდა და მისი არყოფნა არავის გავუმხილეთ. ბედად, მთელი დღე ჩიხში გავატარეთ. გზა დაკავებული იყო. საღამოს ორმა რკინიგზელმა მოიყვანა. ძლივსღა ვიცანით, ისე იყო გამოცვლილი. რკინიგზელებს ეჭვი შეჰპარვოდათ, მტრის მზვერავი ხომ არ არისო. გამოსაცდელად მოგვაყენეს კარზე, რათა შემდეგ, თუ ეჭვი გამართლდებოდა, უშიშროების ორგანოებისათვის ჩაებარებინათ.

როგორადაც გავიხარებდით, ადვილი წარმოსადგენია.

აი, ასეთი იყო ის უმცროსი სერჟანტი. საწყალს მთელი ღამე და შემდეგ მთელი დღე ერბინა. ეშელონსაც შემთხვევით მოაგნო. ვაგონში ბორძიკ-ბორძიკით ამოვიდა. ქერქშეჭეჭყილი, გაყინული პურები, როგორც ნადავლი, ფიცარნაგზე დაჰყარა, თვითონ კი მაშინვე კუთხეში მიეგდო და მკვდარივით დაიძინა.

ამ ათი წლის წინათ ეს ნამდვილი ამბავი მე მოთხრობად დავწერე და „მხიარული მატარებელი" დავარქვი. თქვენ ხედავთ, რომ სამხიარულო აქ არაფერია, მაგრამ ცხოვრება ამნაირი ყოფილა: დიდი გასაჭირი, რომელიც ბოლოს კეთილად თავდება, თავშესაქცევ ამბად გადაიქცევა ხოლმე. „მხიარული მატარებელი" რამდენიმე ენაზეა გადათარგმნილი და იმ შავგვრემანი ბიჭის ამბავი, უკვე ძალიან ბევრმა ხალხმა იცის.

ცხოვრება სავსეა მეგობრობის მაგალითებით. აქ ისიც უნდა დავუმატო, რომ მეგობრებს ადამიანები უმთავრესად სიყმაწვილეში იძენენ. ყოველგვარ ანგარებას მოკლებულ მეგობრობას ფესვები სწორედ სიყმაწვილეში უდგას. ის ისევე წმინდაა და შეურყვნელი, როგორც მთის წყარო, რომელიც მწვანე კორდებსა და სალ კლდეებზე მოედინება და ასეთივე ჩხრიალა ნაკადულებისაგან შემდგარ მდინარეს ერთვის...

ვუშვით, წავედით ჭკუისა და გონების სავარჯიშოდ. გულდამ სამხატვრო აკადემია დაამთავრა...

ხო, მართლა, დეიდა თამარ: როცა გულდა სადიპლომოს იცავდა, მე გამოვედი და ვთქვი, რომ ეს არის მოვლენა, რომ ეს არის ის, რისი დამთავრებაც ვერ მოასწრო თამარ აბაკელიამ, რომ გრძელდება გზა დიდი და უსასრულო. და მართლაც, მისი ქანდაკება გავდა იმ ყურძნის მტევანს, რომელშიც დაღლილმა მზემ ჩასწურა თავისი ძალა და გემო, სუნი და მხურვალება.

1959 წელს ჩემი პირველი წიგნი გამოვიდა. წიგნის სათაური იყო „ერთი ღამის სიჩუმეში".

გულდა კალაძემ დახატა და გააკეთილშობილა ჩემი პირველი წიგნი — წიგნის შავ ფონზე ცეკვავდა ფოთლების „სამაია". „რა დიდებულად გაფორმებული წიგნიაო", მილოცავდნენ მეგობრები.

ჩემს გულდას როგორ დავივიწყებ, დეიდა თამარ!

თბილისში დიდი გამოფენა მოეწყო: ახალმა თაობამ თავისი ახალი სიტყვა თქვა; მზე და სიყვარული დადიოდა რუსთაველის გამზირზე, ქვეყანა ახლად გამოღვიძებულს გავდა და გულდას ქანდაკებას ერქვა „გამოღვიძება" — ეს იყო საქართველოს დიდი ვენახი, ეს იყო თქვენი მეორედ მოსვლა ამ ქვეყანაზე, დეიდა თამარ! ეს იყო დიდი შეჭიბრი და კეთილი შური, რომელსაც მოაქვს ჭეშმარიტი ხელოვნება.

ჩავკიდეთ ხელი და მოვიარეთ საქართველოს ყველა კუნჭული, პატივი ვეცით ამქვეყნიურ ყველა სოფელს და ძეგლს; მერე წავედით და მოვიარეთ უცხო ქვეყნები. გულდა ხატავდა, მე ვწერდი და მეშინოდა თქვენთან შეხვედრისა. ახლა მომეცა საშუალება, რომ გესაუბროთ თქვენ, ვინც გაზარდეთ დიდი კაცი და ადამიანი, რომელსაც ჩემი წუთისოფელი დავუკავშირე, როგორც ერთგულსა და გამტან მეგობარს.

მე დავქორწინდი, ოჯახი შევქმენი, გულდა ჩემი ხელისმომკიდე და სისხლისმიერი გახდა.

ჩემს უფროს ბიჭს მამუკა ჰქვია, დეიდა თამარ, ხოლო გოგოს — თამარი ჰქვია. მისი ნათლია ჩემი გულდაა.

გულდას როგორ დავივიწყებ, დეიდა თამარ!

# მეგობრობა — თავდადებაა!


ვანო რეხვიაშვილი,

კოვპაკელი პარტიზანი.


კოვპაკის პარტიზანული შენაერთი შავ დღეს აყენებდა მტერს ბელორუსიის ტყეებში... მე, ერთ-ერთ ბრძოლაში, დაზგის ტყვიამფრქვევით 500-მდე გერმანელი ფაშისტი გავჟლიტე. ჩამაბარეს ოცეული, რომელშიც 50 პარტიზანი იყო. მძიმე ბრძოლების შემდეგ სოფელ ლიახოვიჩში შევისვენეთ. მე და რამდენიმე ჩემმა მებრძოლმა სემიონ კატოკის ოჯახში გავათიეთ ღამე...

რომ იტყვიან — წამში შევიყვარეთ სემიონ კატოკის 18 წლის ბიჭი — არსენა. იგი ჩვენს თოფ-იარაღს ჩაუცუცქდა და გაბრწყინებული თვალებით დაუწყო სინჯვა. მერე, რატომღაც, მე ამომარჩია, მოვიდა ჩემთან და მითხრა:

— მე თქვენ პატარა ხომ არ გგონივართ, მე სროლა ვიცი..

თავზე ხელი გადავუსვი და გავუღიმე. არსენამაც გაიღიმა, ისე გაიღიმა, რომ მე მივხვდი — იგი ჩვენ აღარ მოგვცილდებოდა.

მეორე დღეს ჩემი ოცეული, კოვპაკის ბრძანებით, უფრო ღრმა ზურგში გააგზავნეს. არსენამ კინაღამ იტირა: — მეც წამოვალო. მე უარი ვუთხარი. იმდენი ჰქნა, რომ კოვპაკამდე მივიდა და სთხოვა: ოცეულს გამაყოლეთო. კოვპაკმა ნება დართო და არსენა ჩვენი თანამებრძოლი გახდა. იმ ოპერაციისას არსენა კატოკი გვერდიდან არ მომცილებია,—ხან მე მაწვდიდა ვაზნებს, ხან თვითონ აკაკანებდა ტყვიამფრქვევს.

მტრის ღრმა ზურგში ძალზე მნიშვნელოვანი ოპერაციის ჩატარების ბრძანება მივიღეთ. როცა წასასვლელად ვემზადებოდით, ჩემთან მოვიდა ერთი პარტიზანი და მითხრა: — აი, ერთ ტომარაში, რომლითაც ცხენის საჭმელი მიგვაქვს, არსენა კატოკი ჩამძვრალა... კინაღამ საზიდარზე არ დავაგდეო. მივედი და რას ვხედავ:

არსენა ტომრიდან ამოძვრა და ჩემს წინ თავი დახარა. თვალებით, უხმოდ მემუდარებოდა—მეც წამიყვანეთო. უარი ველარ ვუთხარი.

ასე დაადგა დიდი ბრძოლის გზას ჩემი პატარა მეგობარი — არსენა კატოკი.

...მივხეტიალობთ ტყე-ღრეში, ყოველ წუთს მტრის გამოჩენას ველით... ერთ დილით, გამთენიისას, ჩემთან მოვარდა მეთვალყურე და მომახსენა, — აქეთკენ მოდის გერმანელთა დიდი ჯგუფიო. ლოდინისა და ფიქრის დრო აღარ იყო, ტყვიამფრქვევი ტყის სიღრმეში შევათრიე და მტრის მოახლოებას დაველოდე. როგორც ყოველთვის, ჩემთან იყო არსენა, ეს ვერცხლისწყალივით მოძრავი და საზრიანი ბიჭი. გაჩაღდა უთანასწორო ბრძოლა. მტერი შევაჩერეთ. ამასობაში მოვიდა ჩვენი მაშველი ძალებიც, — კარპენკოს ჯგუფი, დ. ბაქრაძის ასეული... და აი, აქ მოხდა ის, რის შემდეგაც ჩემთვის უფრო ძვირფასი და სათუთად საყვარელი გახდა 13 წლის ბიჭუნა — არსენა კატოკი.

მტერმა ხუთი ტყვიით „დამაჯილდოვა“ — მუხლის ძვალი მარილივით დამეფშვნა. არსენა ჩემს მაგივრად ტყვიამფრქვევს მიუჯდა და დასცხო... მერე, რაკი იგრძნო, რომ ჩვენები მოახლოვდნენ და მტერი ვერაფერს გახდებოდა, მოვარდა ჩემთან და მხარზე ამიკიდა. ჰო, მხარზე ამიკიდა 13 წლის გულადმა პიონერმა. რამ მისცა ძალა?! — მტრისადმი ზიზლმა, სამშობლოსათვის თავდადების მაღალმა შეგნებამ და, ამ შემთხვევაში, ადამიანის სიყვარულმა და უფროსი მეგობრისადმი ერთგულების წმინდა გრძნობამ!

არაადამიანური ტანჯვითა და წვალებით არსენამ სამშვიდობოზე გამიყვანა!..

ა. კატოკმა ბევრი საბრძოლო ორდენითა და მედლით დაიმშვენა მკერდი. იგი გააფთრებით ჟლეტდა ფაშისტებს, რომლებმაც ჩამოახრჩვეს მისი დედა, მამა და პატარა დაიკო, ჩამოახრჩვეს მაშინვე, როგორც კი გაიგეს, რომ არსენა პარტიზანებს გაჰყვა!..

ა. კატოკი ამჟამად ლვოვში ცხოვრობს. ჩვენ ამას წინათ ერთმანეთი ვინახულეთ. მე ცრემლები მომეძალა. გადავეხვიე და ვიგრძენი, რომ მე და არსენა ერთმანეთის წინაშე ვალმოხდილი მეგობრები ვიყავით, და ასეთებად დავრჩებით მუდამ.

უმრავლოს ჩვენს ქვეყანას ისეთი პიონერები, როგორიც შენ იყავი, ჩემო ერთგულო მეგობარო, არსენ!



ს. კოვპაკი
და
ვ. რეხვიაშვილი

# ცურვის გაკვეთილი

## შარლ ლუი ფილიპი

თერთმეტ-თერთმეტი წლისანი ვიყავით. ასე გვეგონა, თითქოს გაჩენის დღიდან სულ სკოლაში დავდიოდით და, ცოტა არ იყოს, მობეზრებულიც კი გვქონდა სწავლა. ერთ დილას, სკოლისკენ რომ გავუდექით გზას, ჟილარდენმა მითხრა:

— რა იქნება, რომ გავაცდინოთ?

არ ვიცი ჩემი ტვინის რომელ უჯრედში მოხვდნენ ეს სიტყვები, ეს კია, რომ პირდაპირ ვარდად გადამეფინენ გულზე. „რა შტერი ვარ, როგორ ვერ მოვიფიქრე ამდენ ხანს-მეთქი“, — გავიფიქრე. თითქოს მძიმე ტვირთი მომხსნესო, — საოცარი შვება ვიგრძენი.

გახარებულნი ისე ჩქარა მივდიოდით, რომ სულ გადაგვავიწყდა სიგარეტების ყიდვა. მდინარისაკენ გავსწიეთ, თუმცა ამას მშობლები გვიკრძალავდნენ. კაცმა რომ თქვას, იქ არავითარი საფრთხე არ გველოდა: მდინარე პატარა იყო; ზამთარში ერთიანად იყინებოდა, ზაფხულში კი ვიწრო ზოლად მოედინებოდა კალაპოტში.

ხელს არავინ გვიშლიდა. გადავწყვიტეთ გვებანავნა, თუმცა წყალი მხოლოდ კოჭებამდე გვწვდებოდა. როგორ გვინდოდა— ადიდებულიყო მდინარე—იმდენად ვიყავით დარწმუნებულნი, რომ კარგად შევეძლო ცურვა.

ის იყო ტანისამოსი გავიხადეთ, რომ გზიდან ფეხის ხმა შემოგვესმა.

— მოდიან, — თქვა ჟილარდენმა.

ჯერ ვერ გავიგე, ვისზე ამბობდა ჩემი მეგობარი. მერე კი მივხვდი: საქმე ჩვენს მტერს — ველურების ტომს შეეხებოდა, რომელიც უნდა შეგვბრძოლებოდა. გაბედულად გავემართეთ მათ შესახვედრად. დავინახეთ: მოხუცებული დეიდა ვინხენტი, კალათით ხელში, ქალაქიდან ბრუნდებოდა. არც კი დავფიქრებულვართ, რომ იგი ჩვენი მტერი არ იყო.

— მზვერავი გამოუგზავნიათ! — დაასკვნა ჟილარდენმა.

ყიჟინით გავიქეცით მისკენ; საშინელი მანჭვა-გრეხით, ხელების ქნევით შემოვეხვიეთ გარს, თან ვყვიროდით:

— ტაბუ! ტაბუ! ტაბუ!

ჩვენი ფიქრით, კაციჭამიებს ვბაძავდით.

დეიდა ვინსენტმა ვერ გვიცნო შიშველები; მან წყენით გააქნია თავი და გვითხრა:

— ვინა სართ ასეთი უზრდელები?! თქვენს მშობლებს რომ ვიცნობდე, ახლავე წავიდოდი მათთან და ყველაფერს ვეტყოდი.

სიცილ-ხარხარით გავიქეცით უკან.

— შევაშინეთ! — თქვა ჟილარდენმა ამაყად.

შუადღე გადასული იყო. შიშვლად ყოფნა მოგვბეზრდა. ჩავიცვით. ნაცნობებთან შეხვედრას მოვერიდეთ, ამიტომ — გზიდან მინდვრისაკენ გადავუხვიეთ. მივხვდით, რისთვისაც ვიყავით დაბადებულნი. ბედნიერნი და თავისუფლები მიწას ფეხს არ ვაკარებდით, ისე მივრბოდით. მივრბოდით და გვიხაროდა, რომ ჩვენი ფეხები ასეთ სიამოვნებას გვანიჭებდნენ. ვჩერდებოდით მხოლოდ იმაში დასარწმუნებლად, რომ შეგვეძლო უძრავად გაჩერება, თუკი ამას მოვისურვებდით.

კარგა ხეტიალის შემდეგ, ერთ ველზე ამოვყავით თავი. დასასვენებლად ბალახებში წამოვგორდით. მოწმენდილი ცა დაგვყურებდა მაღლით; მიწა, რომელზედაც ჩვენ ვიწექით, ყველა ცოცხალი ქმნილების დედა იყო... თითქოს ბედნიერები უნდა ვყოფილიყავით ასეთი თავისუფლებით, უნდა გვეგემა ბუნების წიაღში ყოფნით გამოწვეული სიხარული, მაგრამ...

მოსალოდნელი სასჯელის გახსენებამ როდი გამოიწვია ჩვენი განწყობილების მოულოდნელი შეცვლა. მთელი საათი დავრბოდით ცხოველებივით, ახლაც იმ ცხოველებს ვგავდით, მოხერხებული ადგილი რომ მოუნახავთ დასასვენებლად. აი, აქ ვიგრძენით, რომ ვერ მივიღეთ ის სიამოვნება, რომელსაც მოველოდით. მივხვდით, რომ მთელი ეს დრო პატარა ცხოველებივით გავატარეთ და ამაში არაფერი არ იყო სახარბიელო.

საათმა ორჯერ დარეკა სოფელში. ჯერ კიდევ დიდი დრო რჩებოდა ოთხამდე, როცა შინ უნდა დავბრუნებულიყავით იმ ბავშვებივით, რომლებმაც სკოლაში გაატარეს ეს დღე. მოგვწყინდა. ამაოდ ვცდილობდით გართობას. ორივენი სკოლაზე ფიქრმა შეგვიპყრო.

— დღეს რა გაკვეთილები გვაქვს? — მკითხა ჟილარდენმა.

პირველი — გეოგრაფია გვქონდა. უკითხავად დავიწყე გაკვეთილის მოყოლა. გეოგრაფიიდან ისტორიაზე გადავედით. სწორედ ამ დღეს გავიგე ჟილარდენისაგან 100-წლიანი ომის დაწყებისა და დამთავრების თარიღები. გავიგე და, მას შემდეგ აღარც დამვიწყნია.

ერთ ადგილზე ვეღარ გავჩერდით.

სკოლაში დაბრუნება გადავწყვიტეთ და გზას გავუდექით. გაკვეთილზე შესვლა ვერ გავბედეთ. საბედნიეროდ, სკოლის შენობის უკანა კედელს შვერილი ჰქონდა, რომელიც ეზოს მცირე ნაწილს ჩარდახივით გადაეფარებოდა. ამ ადგილს „რონდოს მინდორს“ ვეძახდით. ჩვენც მას მივაშურეთ და ჩარდახქვეშ კედელს ავეკარით. საკლასო ოთახის ფანჯრები ღია იყო, შეგვეძლო ყველაფერი გაგვეგონა, რასაც კი კლასში იტყოდნენ. იმ კეთროვნებს ვგავდით, ადამიანებთან ახლო მისვლა რომ აკრძალული აქვთ. ამის მიუხედავად, არ გამოგვეპარვია კლასში ატეხილი უმნიშვნელო ხმაურიც კი. ვიკვლევდით ხმაურის მიზეზს, ხელად ვცნობდით ჩვენი მეგობრების ხმებს.

— ბონეს ეკითხებიან, — ვამბობდით ჩვენ.

რას არ გავიმეტებდით, ოღონდ მის ადგილას ვყოფილიყავით, თუმცა არაფერი არ დაგვიკარგავს, — ყველაფერი გავიგონეთ, რაც ამ გაკვეთილზე ითქვა.

მასწავლებელმა ახალი გაკვეთილის ახსნა ლუი მეთოთხმეტის მეფობის პერიოდით დაიწყო. ილაპარაკა იმ ეპოქის დიდ მწერლებზეც.

— არსებობს ერთი შესანიშნავი საშუალება მათი გვარების დასამახსოვრებლად, — თქვა მან. — დაიზეპირეთ შემდეგი წინადადება: მანანას ფესვებმა მოლიერის შადრევნის წყალი შეისრუტეს. (მე-17 საუკუნის ფრანგი მწერლების გვარებისაგან შედგენილი აზრიანი წინადადება: რასინ დე ლა ბრუიერ ბუაულო დე ლა ფონტენ მოლიერ. მოლიერის სახელობის შადრევანი პარიზის ერთ-ერთი ლამაზი შადრევანია).

— რა ბედნიერებაა, რომ ახლა აქ ვიმყოფებით: ეს სიტყვები ხომ ჩვენც გავიგონეთ.

ოთხ საათზე გაკვეთილები დამთავრდა. კედლის უკან დამალულნი, შურით ვუყურებდით სკოლიდან გამოსულ ამხანაგებს. რაოდენ ნაყოფიერი იყო მათთვის ეს დღე! ჩარმაცების სახეებიც კი ცოდნის შუქით განათებული გვეჩვენებოდა. ალბათ, მათ დღეს ისეთი რამ ისწავლეს, რაც ჩვენ უკვე აღარასოდეს არ გვეცოდინება. ისინი დღეიდან ჩვენზე წინ იქნებიან ცოდნით და ვეღარასოდეს დავეწევით მათ.

ფრანგულიდან თარგმნა
ზეინაბ გირკაიამ.

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



დაუვიწყარი

საყვარელი

# როგორ ვიღებთ კინოფილმს

რეზო ჩხეიძე,
კინორეჟისორი,
ხელოვნების
დამსახურებული
მოღვაწე.

## ცხოვრების მეკვლე

მახსოვს, ომი მძვინვარებდა. არ არსებობდა მაშინ ჩვენს სამშობლოში კუთხე, რომელზედაც ომს თავის დაღი არ დაესვას. ომი იყო ფრონტის ხაზზე, ომი იყო ზურგშიც. ომობდნენ ადამიანები ხელში მაშხანებითა და ომობდნენ იქაც, სადაც ჯერ თოფი არ გაესროლათ. თბილისში დიდი და ნათელი სკოლები ჰოსპიტლებად გადააკეთეს და ჩვენ, მოსწავლეები, პატარა და მოუწყობელ შენობაში გადაგვიყვანეს. მერვეკლასელები საღამოს ცვლაში დავდიოდით; კარ-ფანჯრებზე შავი ქაღალდის ფარდები იყო გაკრული, რომ ძლივს მბჟუტავ ელექტრონის სინათლეს გარეთ არ გაეღწია. სადღა იყო შესანიშნავი ქიმიისა და ფიზიკის კაბინეტები (მე მხედველობაში მაქვს ილია ჭავჭავაძის სახელობის მე-3 საშუალო სკოლა, კამოს ქუჩაზე). ქიმიის მასწავლებელი ნიკო ჯაფარიძე გაყინულ საკლასო ოთახში, პალტოში გახვეული უჯდა მაგიდას, ქიმიური ცდისათვის საჭირო კოლბებსა და მენზურებს თავისი დიდი ჩანთით დაატარებდა ხოლმე. სადღა იყო მისი გაპრიალებული კათედრა, გაქათქათებული ხალათი, კედელზე გაკრული მენდელეევის ცხრილი, ან მექანიკურად მოძრავი დაფა... ყოველივე ეს შორეულ წარსულს მიეცა, ისე შორეულს, რომ აღარც კი გჯეროდა კაცს, თუ ეს მართლა არსებობდა და თუ ოდესმე დაბრუნდებოდა.

როგორც ყოველთვის — ვსწავლობდით ისტორიას, ლიტერატურას, გეოგრაფიას, მათემატიკას... ქუჩებში პატრულები ისე დინჯად და მშვიდად დააბიჯებდნენ, ვითომც და არაფერი. პლეხანოვის პროსპექტზე საათში ერთი-ორჯერ ჩაივლიდა შე-შებჩალეწილი ტროლეიბუსი, ხოლო საბრძოლო ტექნიკა დაუსრულებელ ნაკადად მიედინებოდა... ყოველ საღამოს რადიო გადმოსცემდა ახალ ცნობებს სისხლისმღვრელ ბრძოლებზე. მოედნებზე ხალხი შეჩერებოდა უზარმაზარი საბრძოლო ოპერაციების ამსახველ რუკებს.

ჩვენ მაშინ პირველად გავიგონეთ ამაღელვებელი ამბები მფრინავ ვიქტორ ტალალიხინისა, მაიორ ალექსანდრე წურწუმიასი, ალექსანდრე მატროსოვისა, ზოია კოსმოდემიანსკაიასი. საოცარი ნებისყოფისა და სულიერი ძალის გამოვლინება იყო ამ ადამიანთა სახელებში.

და ჩვენ ვერ ვეტეოდით მერხებზე, გვეპატარავებოდა საკლასო ოთახები! მე და ჩემი ტოლები მაშინ, ომის ამ მძიმე, მაგრამ რომანტიულ პერიოდში, ვახელდით თვალს და ვაკვირდებოდით ცხოვრებას. ჩვენს გარშემო ცხოვრება დუღდა. ჩვენ გვქონდა ხარბი თვალი, დიდი გული და სხარტი გონება. ჩვენ ვისმენდით, ვმსჯელობდით და ვეძებდით პასუხებს კითხვებზე, კითხვებზე, კითხვებზე! ჩვენ ვეძებდით დაუკმაყოფილებელი სურვილების განსახორციელებლად საჭირო ფართო ასპარეზს. და აი, მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად იყო საჭირო ცხოვრების მასწავლებელი, ცხოვრების მეკვლე, შემოიჭრა ჩვენს გონებაში კინო. ეკრანზე ვხედავდით იმას, რის დანახვაზეც ვოცნებობდით. ვხედავდით: გულად, გონებამახვილ, მკლავმაგარ ვაჟკაცებს, ვხედავდით მშვენიერ, ნაზ ქალიშვილებს, რომლებმაც იცოდნენ სიყვარული, ტირილი, სიცილი... ვხედავდით დოკუმენტურ კადრებს ბრძოლებისას. მახსოვს, ვნახეთ ყინვაში გათოშილი ზოია! ვნახეთ საჰარის სილაში ყელამდე ჩაფლული ტანკები და ზარბაზნები გერმანული და ინგლისური არმიებისა; ვნახეთ სტალინგრადი! ვნახეთ საბრძოლო ქარტასთან სტალინი და მისი მხედართუფროსები! კინო შემოვიდა ჩვენს არსებაში, როგორც ცხოვრების თანამონაწილე, ჩვენი ჭირვარამის გამზიარებელი. ასე დამამახსოვრდა მე კინო იმთავითვე, და სხვაგვარად ვერც წარმომედგინა! იგი ადამიანთან ერთად მიაბიჯებს ცხოვრების ყოველ ეტაპზე, უხსნის მას ცხოვრებას, ეხმარება, აკეთილშობილებს, უყვავებს, ედავება, ეალერსება... ვიმეორებ: ეს მე მაშინ ვიგრძენი, როდესაც ჩვენ პირველად ცხოვრებაში გარკვევა დავიწყეთ. კინო გახდა ჩვენი უფროსი მეგობარი. ისიც ჩვენთან ერთად, მაგრამ თითქმის ყოველთვის ერთი ნაბიჯით წინ, მოაბიჯებდა ცხოვრებაში, მასაც უჭირდა, მაგრამ მაინც მხნედ იყო! დავინტერესდი, იმთავითვე დავინტერესდი, როგორ კეთდებოდა ეს ჯადოსნური სანახაობა, რომელიც ასე ძალუმად მოქმედებდა ჩვენს სულსა და გულზე.

## თავიდათავი

ყველაფერი იწყება ცხოვრებიდან. არ არსებობს არც ერთი მხატვრული ნაწარმოები, არც ერთი ფილმი, რომლის საფუძველი, რომლის საწყისი ჩვენს ცხოვრებაში არ იყოს. მე მხედველობაში არა მაქვს მარტო ისტორიული ხასიათის გმირები და მათი ისტორია: გიორგი სააკაძე, თორნიკე ერისთავი, ალექსანდრე ნეველი, დავით გურამიშვილი, პეტრე პირველი, არსენა, ჩაპაევი, კიკვიძე და სხვ. ყოველი მხატვრული ტილო უსათუოდ შედეგია, გამოძახილია ცხოვრებისეული ამბების და კანონებისა. კინოფილმი შეიძლება არ იყოს ნამდვილად მომხდარი ისტორიის პირდაპირი ასლი, მაგრამ მას საფუძვლად უეჭველად უდევს ცხოვრებაში დანახული და აღმოჩენილი ხასიათები და პრობლემები. შემოქმედი, მწერალი იქნება იგი თუ კინორეჟისორი, თავის ფანტაზიას მხოლოდ არსებულ ცხოვრებაზე დაყრდნობით შლის, აღვივებს, ამდიდრებს, სახეს უცვლის. მაგრამ ვიმეორებ: ხელოვანი, შემოქმედი ყოველთვის სინამდვილიდან გამოდის და სინამდვილეს ეყრდნობა, თქვენ წარმოიდგინეთ — მაშინაც კი, როდესაც საქმე გვაქვს პირობით ჟანრთან, როგორიცაა ზღაპარი და ზღაპრული სიუჟეტების განსახიერება; ცხოვრება ზღაპრიდან განზე როდი რჩება. ზღაპრული სიუჟეტები, უპირველეს ყოვლისა, გამოხატულებაა ცხოვრების რეალური კონფლიქტების, ცხოვრების ფილოსოფიისა. ზღაპრული გმირები: ასფურცელა, ნაცარქექია, ქინქრაქა და სხვ. ხალხის კონკრეტული თვისებების განსახიერებაა, ისე როგორც დევები, გველეშაპები და ათასნაირი ურჩხულები ცხოვრების მეორე, ბნელი სამყაროს კონკრეტულ მხარეებს ანსახიერებენ. ის ამბავიც კი, რომ ყოველი ზღაპარი დადებითი საწყისის, დადებითი გმირის გამარჯვებით მთავრდება, ცხოვრების საერთო განვითარების კანონიდან გამოდის.

პროტოტიპები (ე. ი. ცხოვრებისეული წინაპრები) ჰყავდა ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივს და ლუარსაბ თათქარიძეს, აკაკი წერეთლის ბაში-აჩუკს, ვაჟა-ფშაველას გველისმჭამელს... ცნობილია, რომ ლევ ტოლსტოიმ ანა კარენინას, კიტის, ნატაშას, ლევინის სახეები შექმნა არისტოკრატული წრეების კონკრეტული წარმომადგენლების მიხედვით... ეკატერინე გაბაშვილმა თავისი ცნობილი მოთხრობა „მაგდანას ლურჯა" შექმნა ცხოვრებაში მართლა არსებული ერთი ქვრივის ისტორიის მიხედვით, რომელსაც ქალაქში მაწონი ჩაჰქონდა, ჰყიდდა და ასე არჩენდა თავის ობლებს; დავით კლდიაშვილის მოთხრო-

„ჯარისკაცის მამის" სამხედრო კონსულტანტი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ვლადიმიროვი და რეჟისორი რ. ჩხეიძე.





ს. ზაქარიაძე — გიორგი მახარაშვილის როლში (კინოფილმი „ჯარისკაცის მამა“).

ბების გმირები, გალარიბებული „შემოდგომის აზნაურები“, მწერლის მიერ ცხოვრებაში ნანახი ზუსტი ჩანახატებია... ნაცნობ მეეზოვეს, ხელოსნებს, მეთევზეებს, ორთაჭალის ტურფებს, მოქეიფე თავადებს და მთელ მის ახლობელ გარემოს ხატავდა ქართველი ერის სიამაყე, სახალხო მხატვარი ნიკო ფიროსმანაშვილი... აღარაფერს ვიტყვით ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადზე“ და ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიაზე“, რომლებიც მთლიანად დოკუმენტურ ფაქტებზე არის დაწერილი.

როდესაც კინოფილმ „ჯარისკაცის მამაზე“ მუშაობას ვიწყებდით, სცენარის ავტორი ს. ჟღენტი მოგვიყვა, რომ გიორგი მახარაშვილს — ბოდბისხეველ გლეხს — მასთან ერთად უბრძოლია ფრონტზე, ნოვოროსიისკთან, და მთელი ასეულის საყვარელი კაცი ყოფილა. იგი მამასავით იყო ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის და ხასიათდებოდა დიდი ფიზიკური ძალითა და ბუნებისადმი უშუალო სიყვარულით. ამიტომაც, ჩვენ აღარ შევცვალეთ გმირის რეალური სახელი და გვარი და ფილმშიც გიორგი მახარაშვილად დავტოვეთ. ბევრი რამ ფანტაზიით გავზარდეთ და გავაღრმავეთ, მაგრამ, ვიმეორებ, საფუძველი რეალური და ნამდვილად მომხდარი იყო. იტალიელი პროგრესული კინოოსტატები თავის ნაწარმოებთა შექმნაში, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობენ ცხოვრების ღრმა, ყოველმხრივი შესწავლით. გინახავთ კინოფილმი „რომი 11 საათზე“? ამ ფილმის შექმნას საფუძვლად დაედო ცხოვრებაში მომხდარი ისტორია: ქალაქ რომის ერთ-ერთმა სავაჭრო ფირმამ, სავოის ქუჩაზე, გამოაცხადა კონკურსი საბეჭდ მანქანაზე მბეჭდავის ერთ ადგილზე. უთენია შეიკრიბა 200 ქალი. ფირმის დირექციას, რომელიც მოთავსებული იყო მე-4 სართულზე, უნდა ამოერჩია ის ერთი ბედნიერი ქალი. მოხდა უბედურება: ვიდრე მიმდინარეობდა ეს არაადამიანური კონკურსი, კიბემ, რომელზედაც პირველი სართულიდან მეოთხემდე ეს ორასი ქალი იყო განლაგებული, ვერ გაუძლო სიმძიმეს და ჩაინგრა. ბევრი დასახიჩრდა, ბევრი სამუდამოდ დაინვალიდდა. იტალიელმა კინოოსტატებმა ეს ამბავი გაზეთებიდან გაიგეს და გადაწყვიტეს მისი ეკრანზე ასახვა. რეჟისორმა ჯუზეპე სანტისმა და კინოდრამატურგმა ჩეზარე ძავატინიმ ასეთი ხერხი იხმარეს: მათ თვითონ გამოაქვეყნეს განცხადება — მემანქანე გვჭირდებაო. მეორე დილით კანტორას, სადაც ისინი ისხდნენ (რომელიც, ყოველგვარი უბედურების თავიდან აცილების მიზნით, პირველ სართულზე მოაწყვეს), ასამდე ქალიშვილი მოაწყდა.

—„ჩვენ განგებ გავაჭიანურეთ მიღება, რომ გვქონოდა საშუალება, რაც შეიძლება ღრმად გავცნობოდით, ღრმად ჩავკვირვებოდით ქალების ლაპარაკს რიგში — გაგვეგო მათი ოცნებები, ურთიერთ ქიშპი, შიში იმის გამო, რომ არ დაბნეულიყვნენ საბეჭდ მანქანასთან გამოცდის დროს... მე არასოდეს არ დამავიწყდება ის ქალიშვილი, რომელიც იჯდა მანქანასთან და დაჰკარგა გონება. არ დამავიწყდება მეორეც, რომელიც გამოცდის ბოლოს ატირდა და დაიწყო ყვირილი: ადგილი სწორედ მე უნდა მომცეთ, რადგანაც მყავს ორი ბავშვი, ქმარმა კი მიმატოვაო. არ დამავიწყდება ისიც, რომელიც იდგა კარებთან და ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა — ფეხი გადმოებიჯებია ზღურბლზე. ადვილი არ არის დაივიწყო სევდა, რომელიც ჩანდა ამ ქალების ყოველ ფრაზაში, ყოველ ჟესტში, რაც არ უნდა გამოეხატათ მათ, მორჩილება თუ ავყიაობა, ღირსება თუ ცინიზმი. ეს დილა იყო ჩვენთვის დაუვიწყარი. სწორედ ამაზე ვცდილობდი ყოველთვის მეფიქრა ფილმზე მუშაობის დროს“, — წერს ცნობილი იტალიელი რეჟისორი ჯუზეპე სანტისი. როგორც ხედავთ, რეჟისორი და სცენარისტი არ დაკმაყოფილდნენ მომხდარი დოკუმენტური ფაქტის უბრალო გაცნობით. მათ ხელოვნურად შექმნეს რეალურად მომხდარი ფაქტის ანალოგიური სიტუაცია, რათა რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდომოდნენ ადამიანის ფსიქოლოგიას და გარკვეულიყვნენ მომხდარი ამბის არსში. ასეთი გზა, რაც შეიძლება ღრმად ჩაწვდე ცხოვრების მოვლენებს, მომხდარ ამბავს შეხედო სხვადასხვა კუთხიდან, ერთადერთი და აუცილებელია. ამას კი, უპირველეს ყოვლისა, აკეთებს კინოდრამატურგი ანუ სცენარისტი, რომელიც წერს სცენარს ან მარტო, ან ფილმის დამდგმელ რეჟისორთან ერთად.

ერთი სიტყვით, იქმნება ლიტერატურული სცენარი, რომელიც თავისი ფორმით რომანს ან მოთხრობას წააგავს და მასში ჯერ კიდევ არ არის შეტანილი კინოსათვის დამახასიათებელი, სპეციალური ტერმინები და აღნიშვნები.

## რეჟისორული სცენარი

როგორც ვთქვით, თავიდათავი ლიტერატურული სცენარია, — ე. ი. თუ კი მწერალმა, რომელსაც ამ შემთხვევაში ჩვენ სცენარისტს ან კინოდრამატურგს ვუწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებთ, არ დაწერა სცენარი, ისე ფეხის გადადგმა არ შეიძლება. მაგრამ იმისათვის, რომ ფილმი დაიდგას, საჭიროა არსებული ლიტერატურული მასალა—სცენარი გადაყვანილი იქნას კინოენაზე. ამ რთულ და გადამწყვეტ პროცესს, რომელშიც მონაწილეობს მთელი არმია კინომუშაკებისა, ხელმძღვანელობს კინორეჟისორი, ე. ი. ადამიანი, რომელიც დგამს ფილმს (მას სხვაგვარად დამდგმელ რეჟისორს უწოდებენ).

როდესაც შეიქმნება ზუსტი პროექტი მომავალი ფილმისა, როდესაც ნათლად გაირკვევა სხვადასხვა კომპონენტის ამოცანა (კომპონენტებს ჩვენ ვუწოდებთ ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებს, რომლებიც მონაწილეობენ ფილმის გადაღებაში), როდესაც მიღებული იქნება გადაღებისათვის აუცილებელი შემოქმედებითი გადაწყვეტილებანი, — რეჟისორი ამუშავებს მწერლის მიერ დაწერილ ლიტერატურულ სცენარს და ჰქმნის ე. წ. რეჟისორულ სცენარს. სარეჟისორო სცენარს ფილმის შექმნისათვის იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც არქიტექტურულ პროექტს მშენებელი ინჟინრისათვის. სარეჟისორო სცენარის გარეშე შეუძლებელია ფილმის გადაღება. სარეჟისორო სცენარის დამუშავების დროს ზუსტად განისაზღვრება მიზანსცენები, რეჟისორი მხატვართან ერთად ადგენს მომავალი ფილმის გმირთა კოსტუმებს, კომპოზიტორთან ერთად ადგენს მუსიკის ხასიათს, მის განვითარებას და საერთო ხმოვანებას, ოპერატორთან ერთად ადგენს გადასაღებ წერტილებს, ე. ი. რომელი ეპიზოდი როგორი ხერხით და როგორი რაკურსით იქნება გადაღებული... კეთდება ყოველი კადრის ჩანახატი, საბოლოოდ ზუსტდება, რომელი სცენა გადაიღება პირდაპირ ბუნებაში, რომელი — სტუდიის პავილიონში, დეკორაციებით, რომელი — კომბინირებული წესით, და ა. შ.

ზემოთ ვთქვი, რომ რეჟისორი მხატვართან ერთად ადგენს მოქმედ გმირთა კოსტუმებს-მეთქი. თქვენ შეიძლება ეს გაგიკვირდეთ და თქვათ: — რაა ამაში ასე რთული, რომ ცალკე ლაპარაკად ღირდეს, — მთავარია, ტანსაცმელი მოირგოს მსახიობმა და ეცვას ისე, რომ იგი მოცემულ დროს შეესაბამებოდესო. რა თქმა უნდა, ტანსაცმელი უნდა ესატყვისებოდეს იმ ეპოქას, რომელ ეპოქაშიც მიმდინარეობს ფილმის მოქმედება, მაგრამ ყველაზე ძნელი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ კოსტუმი გმირის ხასიათს გამოხატავდეს, ეხმარებოდეს მსახიობს — გადმოსცეს ფსიქოლოგიური არსი მის მიერ განსახიერებული გმირისა. მაგალითად, მახსენდება ის პერიოდი, **როდესაც „მაგდანას ლურჯას“** დადგმას შევუდექით. რამდენს ვეძებდით მაგდანას კოსტუმს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რა იყო საძებნი? ცნობილია, როგორ იცვამენ ქართლელი ქალები, ცნობილია ისიც, როგორ იცვამენ ქვრივები. აქ შავ ფერს ვერსად გაექცევი, თავზე — ტრადიციული თავსაფარი, შავი, საკმაოდ ფართო ქვედაწელი, კაბა და ზემოთ ასეთივე შავი კოფტა, — ეს არის და ეს. თითქოს საკმაოდ ცოტაა საძებნი და საკმაოდ შეზღუდულია ამოცანა. მაგრამ საქმე იმაში იყო, რომ ჩვენ გვსურდა მაგდანა ეკრანზე ყოფილიყო არა დროგადასული ქალი, რომელიც ბავშვებზე ზრუნვამ და ცხოვრების მძიმე ტვირთმა გატეხა, არამედ ქალი, რომელშიც ჯერ კიდევ არის რაღაც ახალგაზრდული, როგორც საერთო იერში, ისე მიხვრა-მოხვრაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)




•

წყნარ ოკეანეში, ნაპირიდან ასეული კილომეტრის დაშორებით მდებარეობს „აღდგომის კუნძული“. 1955-56 წლებში ამ კუნძულზე იმოგზაურა ცნობილმა ნორვეგიელმა მეცნიერმა ტურ ჰეიერდალმა. მოგზაურობის შემდეგ მან დაწერა წიგნი: „აღდგომის კუნძულის საიდუმლოება“, სადაც ავტორი მოგვითხრობს ქვეყნიერების ყველაზე მივარდნილ კუნძულზე მოგზაურობის ძალზე საინტერესო ამბებს.

ბავშვებო, გირჩევთ წაიკითხოთ ეს წიგნი.

•

ამ რამდენიმე წლის წინათ მიუნჰენის გამომცემლობამ გამოაცხადა კონკურსი დამწყებ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებებზე. კონკურსში გაიმარჯვა სრულიად უცნობმა ავტორმა — მანფრედ გრეგორმა. მოთხრობა იმდენად კარგი აღმოჩნდა, რომ იგი სულ მალე ითარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე. მოთხრობის სახელწოდებაა „ხიდი“, რომელშიც გადმოცემულია ომის ზურგში მოქმედი გერმანელი ჭაბუკების ბრძოლების ისტორია ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ.

•

ცნობილია, რომ ადამიანმა უხსოვარი დროიდან მოიშინაურა და შეიყვარა ოთხფეხა ცხოველი—ძაღლი. კარგი ჯიშის ძაღლი პატრონის ერთგული მსახურია და, პატრონიც, თავის მხრივ, ეფერება და უვლის პირუტყვს...

მწერალ ბორის რიაბინინის წიგნში „ჩემი მეგობრები“ აღწერილია ძაღლის გონიერებისა და მოსაზრებულობის მრავალი ეპიზოდი.

•

პატარა ბიჭს ლენკოს ძალზე იტაცებდა მეცნიერულ-პოპულარული და სათავგადასავლო წიგნების კითხვა. ოცნებობდა, სადმე ეპოვნა თუნდაც დაჭრილი პარტიზანი და დაემალა იგი... ლენკოს ოცნება აუხდა. ერთ მშვენიერ დღეს მან მართლა იპოვნა ტყეში დაჭრილი პარტიზანი და... თუმცა, სჯობს თვითონ წაიკითხოთ ბულგარელი მწერლის გიორგი კარასლავოვის მოთხრობა „ლენკო“ და ყველაფერს დაწვრილებით შეიტყობთ.



მოთა ვადაჭკორია

# მეხიკო იღებს ესტაფეტას

## ოლიმპიურ ქალაქთა მწკრივში

ეს სტრიქონები 1964 წლის ოლიმპიური ტოკიოდანაა გადმოცემული: „ელექტრონულ მუსიკასა და ზარების გუგუნში სტადიონზე შემოდიან 94 ქვეყნის სპორტსმენები. ანძებზე აღმართულია ეროვნული ალმები: საბერძნეთისა — ოლიმპიური თამაშების სამშობლოსი, იაპონიისა — ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორისა, და მექსიკისა — 1968 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლისა. სრულდება ამ სახელმწიფოთა ჰიმნები და სტადიონზე ქრება ანთებული ჩირაღდნების ნახევარი. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ევერი ბრენდეჯი XVIII ოლიმპიურ თამაშებს დახურულად აცხადებს. ფანფარების ხმაზე ქრება დანარჩენი ჩირაღდნებიც და თანდათან ინავლება წმინდა ოლიმპიური ცეცხლი. ეშვება ოლიმპიური დროშა. ქუხს სალუტი. ქორო ასრულებს ჰიმნს: ტოკიოს ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა გრანდიოზული ფეიერვერკით. ელექტროტაბლოზე ინთება წარწერა: „შევხვდებით მეხიკოში, ოთხი წლის შემდეგ!"

ასე მიიღო წლების გრძელ გზაზე გამოტარებული ესტაფეტა მექსიკის დედაქალაქმა. ასე ჩადგა ოლიმპიურ ქალაქთა მწკრივში მეხიკო-სიტი.

## დაე, ღვიოდეს მეგობრობა და სიყვარული!

ამ ისტორიის პირველი ფურცლები ცნობილი ფრანგი მეცნიერისა და პედაგოგის პიერ დე კუბერტენის კეთილშობილურ მოღვაწეობას უკავშირდება.

...ძველ საბერძნეთში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ოლიმპოს მთაზე დიდი სპორტული ზეიმები იმართებოდა. ტუნიკებში გამოწყობილი 16 ქალწული ზევსის ტაძარში მზის სხივების მეოხებით ანთებდა „ღვთაებრივ ცეცხლს", მიჰქონდა სტადიონზე და გადასცემდა ფეხმარდ ბერძენ მორბენალს. ამ ცერემონიალის შემდეგ იწყებოდა ოლიმპიური თამაშები — სხვადასხვა ხალხის შვილთა ასპარეზობა, რომლის მთავარი დევიზი იყო: „ზავი ხალხებს! არავითარი შუღლი და ომი! დაე, ღვიოდეს მეგობრობა და სიყვარული!" და სანამ ოლიმპოს მთაზე ის „ღვთაებრივი ცეცხლი" ენთო, მეომარი სახელმწიფოებიც კი ხმალს ქარქაშში აგებდნენ...

აი, სწორედ ეს მაღალი იდეალები დაუდო საფუძვლად თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებს მისმა ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა. მან სხვადასხვა ქვეყნის შვილებს მოუწოდა გაერთიანებულიყვნენ დიდ საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში, რომლის მიზანიც იქნებოდა სპორტის მეოხებით ხალხებს შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება, ახალგაზრდა თაობის ფიზიკური წრთობა და სრულყოფა, ადამიანის ამოუშრეტელი ძალების გაფურჩქვნა და გამოვლინება.

ამ იდეამ პრაქტიკულად 1896 წლის 5 აპრილს შეისხა ხორცი, როცა ათენში გაიხსნა თანამედროვეობის ოლიმპიადა, როცა ოლიმპოს მთაზე კვლავ აგიზგიზდა „ღვთაებრივი ცეცხლი" და შემდეგ მსოფლიოს უამრავი ქალაქი და სახელმწიფო შემოიარა.

მას შემდეგ, თუ მსოფლიო ომების პერიოდს არ ჩავთვლით, ოლიმპიური თამაშები ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ იმართებოდა და, „წმინდა ჩირაღდანიც", როგორც მშვიდობისა და მეგობრობის სიმბოლო, როგორც ხალხთა კეთილი ნების ესტაფეტა, მორიგეობით გიზგიზებდა პარიზისა და სენტ-ლუისის, ლონდონისა და სტოკჰოლმის, ანტვერპენისა და ამსტერდამის, ლოს-ანჟელოსისა და ბერლინის, ჰელსინკისა და მელბურნის, რომისა და ტოკიოს თავზე.

მას შემდეგ 69 წელი გავიდა და ოლიმპიური მოძრაობის ამ დიდსა და სახელოვან გზაზე — ქალაქიდან ქალაქამდე, ოთხწლეულიდან ოთხწლეულამდე — მისი მაღალი იდეები სულ უფრო მძლავრად, სულ უფრო ფართოდ იპყრობდა მილიონთა და მილიონთა გულებს. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ეს ერთი, მაგრამ მრავალისმეტყველი შედარება: ათენის I ოლიმპიადაში სულ 13 ქვეყნის 285 სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას, ტოკიოს XVIII ოლიმპიურ თამაშებზე კი 94 ქვეყანამ 8000 წარმომადგენელი გაგზავნა.

საბჭოთა სპორტსმენების ოლიმპიური დებიუტი შედგა 1952 წელს, ჰელსინკის XV თამაშებზე. მას შემდეგ ჩვენი ათლეტები ოლიმპიადების უცვლელი მონაწილენი არიან.



საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი, ტანმოვარჯიშე ა. ჯანუყაშვილი



ო. ფხაკაძე — მსოფლიო ჩემპიონი და ოლიმპიური გუნდის ერთ-ერთი ძირითადი კანდიდატი ველოსპორტში.

## ყველაზე სწრაფად, ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს!

ოლიმპიური მოძრაობისთვის, თავისი ღრმა მნიშვნელობით, დაუვიწყარია პიერ დე კუბერტენის სიტყვები: „მთავარი ოლიმპიადაში გამარჯვება კი არ არის, არამედ — მასში მონაწილეობა". დევიზად ქცეული ეს ფრაზა ხაზს უსვამს თამაშების დედააზრს: სპორტის მეოხებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მეგობრულ შეხვედრას და ასპარეზობას, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებაში წვლილის შეტანას.

მაგრამ არსებობს სხვა დევიზიც, რომელიც ყოველ ოლიმპიადაზე ლაღ, ამაყ ლოზუნგად ფრიალებს: „ყველაზე სწრაფად, ყველაზე მაღლა, ყველაზე შორს!" ამ სიტყვებშიც ღრმა აზრია ჩადებული: ოლიმპიური ასპარეზობა უნდა წარმოადგენდეს კაცობრიობის შესაძლებლობათა ჰიმნს, ხელს უწყობდეს ადამიანის ამოუშრეტელ ფიზიკურ ძალთა გამოვლინებას.

ამ მხრივაც ოლიმპიურმა მოძრაობამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა სპორტულ პროგრესში. აი, ამის რამდენიმე დადასტურებაც: 1896 წელს, I ოლიმპიადაზე, ვაჟთა შორის 100 მეტრის დაფარვას ამერიკელმა ტ. ბერკმა ყველაზე ნაკლები დრო — 12,0 წამი მოანდომა, ტოკიოს XVIII თამაშებზე კი ეს შედეგი არა თუ მხოლოდ ვაჟთა შორის გამარჯვებულმა რ. ჰეიესმა (აშშ) გააუმჯობესა (10,0 წამი), არამედ ამავე მანძილზე მორბენალმა ექვსივე პრიზორმა ქალმაც! სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის იმავე 1-ლ ოლიმპიადაზე ე. კლარკმა 181 სანტიმეტრი დაძლია, რომის ოლიმპიადაზე კი, 1960 წელს, ჩვენმა თანამემამულემ რობერტ შავლაყაძემ ამ მიღწევას 35 სანტიმეტრით გადააჭარბა, ხოლო ტოკიოში ვ. ბრუმელი 218 სანტიმეტრზე გადაევლო თამასას.

## ქართველი სპორტსმენების ოლიმპიური ტრიუმფი

...ჰელსინკი, 1952 წლის 23 ივლისი. „მესუჰალის" სპორტულ ასპარეზს საბჭოთა ჰიმნის მელოდიები ეფინება და ამაყად მიიწევს მაღლა ჩვენი ქვეყნის წითელი დროშა. გამარჯვებულთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ტანადი, დაკუნთული, შავულვაშა ვაჟკაცი დგას და მას აღტაცებული ტრიბუნების მქუხარე ტაში ეფრქვევა. ეს იყო პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი დავით ციმაკურიძე...

იგივე „მესუჰალი" მალე მეორე ქართველი გოლიათის არსენ მეკოკიშვილის ტრიუმფის მოწმეც გახდა. სანამ ჰელსინკის ოლიმპიადა დამთავრდებოდა, ჩვენს სასიქადულო მოჭიდავეებს ერთი-მეორის მიყოლებით ამოუდგნენ მხარში მზიური საქართველოს წარმომადგენლები: ოლიმპიური ჩემპიონები — ტანმოვარჯიშე მზია ჯუღელი და ძალოსანი რაფაელ ჩიმიშკიანი, ვერცხლის მედალოსნები — მძლეოსანი ლევან სანაძე, კალათბურთელები ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია, ბრინჯაოს პრიზიორები — მძლეოსანი ნინო დუმბაძე და ნადეჟდა დვალიშვილი.

ასე ძლევამოსილად გავიდა დიდ ოლიმპიურ ასპარეზზე ჩვენი რესპუბლიკა, რომლის შვილებიც, მოძმე საბჭოთა ხალხების წარმომადგენლებთან ერთად, იცავდნენ ჩვენი დიადი სამშობლოს სპორტულ ღირსებას.

გადიოდა წლები, ოლიმპიადას — ოლიმპიადა ენაცვლებოდა და ქართველ სპორტსმენთა ღვაწლი საბჭოთა ოლიმპიელების ბრწყინვალე წარმატებების „ყულაბაში" იზრდებოდა, მაღლდებოდა მათი საერთაშორისო სპორტული ავტორიტეტი. რად ღირს მარტო რომის ოლიმპიადაზე რობერტ



ჟამიც მეტოკი და. გივი კარტოზიას ბეჭებით შეეხება ლეიბს.

შავლაყაძის სენსაციური გამარჯვება, როცა მან სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელების ჰეგემონია დაამხო და ახალი ოლიმპიური რეკორდით (216 სმ) ოქროს მედალი დაისაკუთრა.

დაუკვირდით ამ მრავალისმეტყველ ციფრებსა და ფაქტებს: თუ ჰელსინკში საქართველოს 13 სპორტსმენი გამოდიოდა, ხოლო მელბურნის ოლიმპიადაზე (1956 წ.) —10, რომში (1960 წ.) საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში 16 ქართველი ოლიმპიელი იყო, ტოკიოში კი 18. ასევე თანმიმდევრულად იზრდებოდა ჩვენი ოლიმპიელების წვლილი საერთო-გუნდურ გამარჯვებაში: . მელბურნში მათ უკვე 31,36 ქულა შესძინეს ნაკრებს, რომში —32,5 ქულა, ხოლო ტოკიოში —44,2.

## მეხიკო აყენებს პრობლემებს

როცა ტოკიოში ოლიმპიური ჩირაღდანი ქრებოდა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა მგზნებარე სიტყვით მიმართა შეკრებილთ: ,,მე მოვუწოდებ ყველა ქვეყნის ახალგაზრდობას ოთხი წლის შემდეგ შეიკრიბოს მეხიკოში, რათა საზეიმოდ ჩაატაროს XIX ოლიმპიადა. დაე, ახალგაზრდობა სიცოცხლითა და მეგობრული სულისკვეთებით სავსე იყოს, რადგან მხოლოდ მას ძალუძს გაბედულად და ამაყად წაიღოს ოლიმპიური . ჩირაღდანი ყველა დროის კაცობრიობის საკეთილდღეოდ''.

1968 წლის შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს საბერძნეთში, ოლიმპოს მთაზე, ზევსის ჭალაში კვლავ შეიკრიბება ტუნიკებში გამოწყობილი 16 ქალწული. ერთი მათგანი, მზის სხივების მეოხებით აანთებს წმინდა ცეცხლს, დობილების თანხლებით წაიღებს ძველი ოლიმპოს სტადიონისკენ და ფეხმარდ ბერძენ მორბენალს გადასცემს. ოლიმპიადის სამშობლოს მძლეოსნები ამ ჩირაღდანს მორიგეობით წაიღებენ ათენისკენ. შემდეგ იგი ხმელეთითა და ზღვით, ჰაერითა და მთაგრეხილებით, სხვადასხვა ხალხების შვილთა ხელებით, მოივლის ქვეყნებს და 12 ოქტომბრისთვის მექსიკის დედაქალაქში დამკვიდრდება.

რატომ 12 ოქტომბერს?

ოქტომბერი მექსიკაში ,,ოქროს სეზონად'' ითვლება. ამასთან, 12 ოქტომბერი დიდი დღესასწაული — ,,დია დე ლია რაზაა'': 1492 წლის 12 ოქტომბერს კოლუმბმა ამერიკა აღმოაჩინა და ამ თარიღს მექსიკელები ყოველ წელს მხიარული კარნავალებით აღნიშნავენ. 1968 წელს კი ეს დღე ორმაგად საზეიმო იქნება— ამერიკას კვლავ აღმოაჩენენ ,,ოლიმპიელი მოგზაურები''.

როცა მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქის კანდიდატურად მეხიკოსიტი წამოაყენეს, მას საკმაო მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ოპონენტები ასახელებდნენ უამრავ მიზეზს: ქალაქის მაღალ მდებარეობას, გაიშვიათებულ ჰაერს, მექსიკელთა გამოუცდელობას ასეთი გრანდიოზული ასპარეზობის ჩატარებაში, მეხიკოში დიდი სპორტული ბაზების სიმცირეს. ამის საპასუხოდ ევერი ბრენდეჯმა განაცხადა: ,,ჩვენთვის სულერთია —მეხიკო, მაღალია თუ დაბალი, ნესტიანია თუ მშრალი, ცივა იქ თუ ცხელა. ოლიმპიადას საკუთარი კერა აქვს დედამიწის ყველა ადგილას''.

საბჭოთა ოლიმპიური კომიტეტი თავიდანვე მტკიცედ უჭერდა მხარს მეხიკო-სიტის კანდიდატურას, ვინაიდან მიაჩნდა და მიაჩნია, რომ ოლიმპიურმა მოძრაობამ, მისმა მაღალმა იდეებმა, ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, უნდა მოიცვას დედამიწის ყოველი კუთხე, მისი კეთილშობილური მისია მთებზე თუ სიცივეზე, ამინდზე თუ სხვა შემაფერხებელ ფაქტორებზე უფრო ძლიერი უნდა აღმოჩნდეს.

და მაინც, რაკი ოლიმპიადებში მონაწილეობის გარდა საბრძოლო დევიზად კვლავ რჩება — ,,ყველაზე სწრაფად, ყველაზე შორს, ყველაზე მაღლა!'' საბჭოთა ოლიმპიელები, ისევე როგორც სხვა ქვეყნების სპორტსმენები, დაბეჯითებით ემზადებიან მეხიკოს განსაკუთრებულ პირობებში საასპარეზოდ.

ამ მზადების პროცესში კი მნიშვნელოვანი პრობლემებია გადასაწყვეტი.

...,,უკანასკნელ ათ მეტრზე, — იგონებს 1955 წელს მეხიკოში გამართულ პანამერიკული თამაშების მონაწილე, მსოფლიოს რეკორდსმენი 400 მეტრზე რბენაში ლუი ჯონსი, —თვალწინ ყველაფერი დამიბნელდა. მე, როგორც ატაცებული, რაღაც გაუგებარი ძალით ვისწრაფვოდი მიზნისკენ. რაც შემდეგ მოხდა, აღარ მახსოვს. მხოლოდ ორი დღის შემდეგ მოვედი გონს''. ჯონსის თქმით, მსგავსი ამბები იმიტომ ხდებოდა, რომ სპორტსმენები შეგუებული არ იყვნენ მაღალმთიან ჰავას. იგი აფრთხილებს სპორტსმენებს, რომ მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის აკლიმატიზაციის პრობლემას მეტად სერიოზულად უნდა მოეკიდონ.

1962 წელს მეხიკოში ასპარეზობდნენ საბჭოთა ხუთჭიდელები, რომლებსაც აკლიმატიზაციისთვის მხოლოდ 9 დღე ჰქონდათ. პირველად მათ გაუჭირდათ — არ ყოფნიდათ ჰაერი, მუდამ ეძინებოდათ, მაჯისცემა გაუხშირდათ. მაგრამ შემდეგ საბჭოთა სპორტსმენებმა დაძლიეს უჩვეულო პირობები და მსოფლიო პირველობაც მოიგეს.

1965 წლის გაზაფხულზე მექსიკაში ჩავიდა ქართველ სპეციალისტთა დელეგაცია, რომელმაც მაღალმთიანეთთან შეგუების პროცესი და მთელი რიგი სხვა საკითხები შეისწავლა.

1965 წლის ოქტომბერში, მექსიკის დედაქალაქში გაიმართა ოლიმპიადის პირველი ,,მცირე რეპეტიცია''. იქ ჩავიდნენ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენები და ჩავ ენ ე. წ. ,,ოლიმპიურ კვირეულში''. ამ ასპარეზობამ დაადასტურა წინასწა-

რი მონაცემები: ათლეტებმა, რომლებიც უაკლიმატიზაციოდ გავიდნენ შეჯიბრებაზე, ჩვეულებრივზე დაბალი შედეგები აჩვენეს, ხოლო ისინი, ვინც თუნდაც 10-დღიანი აკლიმატიზაცია გაიარა, წარმატებით გამოვიდნენ.

საბჭოთა სპორტსმენებს „ოლიმპიურ კვირეულზე“ ახლდა მეცნიერთა ჯგუფი, რომელმაც დიდი კვლევითი მუშაობა ჩაატარა და დასახა XIX ოლიმპიადისათვის საგანგებო მზადების კონკრეტული ამოცანები.

ამჟამად ეს მზადება მიმდინარეობს ყველგან, მსოფლიოს ყველა კუთხეში. ორი ოლიმპიადის ჩემპიონი, ეთიოპიელი აბებე ბიკილა უკვე ახლავე „გააფთრებული“ დარბის თავისი სამშობლოს მთიანეთში; კუბელები ოლიმპიური გუნდის მოსამზადებლად მაღალმთიანი ბანაკის აგებას აპირებენ; შვედმა სპორტსმენებმა გადაწყვიტეს ორთვიანი საწვრთნელი შეკრება ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში (2424 მ ზღვის დონიდან) გამართონ; ამერიკელმა მძლეოსნებმა წვრთნა დაიწყეს პერუს ქალაქ ნუნოაში (4.000 მ); იაპონელებმა შექმნეს სპეციალური ნიღბები, რომლებიც 4.000 მეტრის სიმაღლეზე ნორმალური სუნთქვის პირობებს ქმნის...



რობერტ შავლაყაძე ვარჯიშის დროს.

სპორტსმენთა სტაციონალური წვრთნისა და ვარჯიშისათვის, გადაწყდა: განთქმულ კურორტ კისლოვოდსკთან, ზღვის დონიდან 1250 მეტრის სიმაღლეზე, აიგოს დიდი ოლიმპიური ბაზა, სადაც გამოაწრთობენ თავიანთ ოსტატობას მომავალი საბჭოთა ოლიმპიელები, რომელთა რიგებში, უეჭველია, ბევრი ახალი ტალანტი იქნება. 1968 წლის მეხიკომდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი უკვე ახლავე დაბეჯითებით არჩევს კანდიდატურებს, რომლებსაც საბჭოთა სამშობლოს სპორტული ღირსების დაცვა დაევალებათ; მათ შორის ბევრი ქართველი გოგონა და ჭაბუკია: ტანმოვარჯიშე ა. ჯანუყაშვილი, ველომრბოლი ო. ფხაკაძე, კალათბურთელები ზ. საკანდელიძე და ა. სხიერელი, მოჭიდავე რ. რურუა, მოფარიკავე გ. კოსტავა, ფეხბურთელები ა. ილიადი, გ. ხართიშვილი, ე. ხუციშვილი, ს. კუტივაძე, მძლეოსანი ი. დიაჩკოვი-დუმბაძე, და მრავალი სხვა.

გაივლის კიდევ სამი წელი და, უეჭველია — ეს ჭაბუკები და ქალიშვილები, დიადი საბჭოთა სამშობლოს სხვა კუნთმაგარ ახალგაზრდებთან ერთად, კვლავ გვასახელებენ ახალი გამარჯვებებით, კვლავ ღირსეულად ატარებენ ჩვენი ქვეყნის სპორტულ დიდებას და ოლიმპიური მოძრაობის მარად მოგიზგიზე წმინდა ჩირაღდანს.



## დამსხვრეული ჭურჭლის გორა

ყველაზე უფრო ორიგინალური ყორღანი დედამიწაზე დამსხვრეული ჭურჭლის გორაა — რომში. იგი შორეულ წარსულში გაჩნდა, როცა რომი მსოფლიოზე ბატონობდა. ამ ყორღანის „აგებაში“ დიდი წვლილი მიუძღვით რომის მომმარაგებლებს: იმ ხანად რომში სურსათ-სანოვაგე და ღვინო გამომწვარი თიხის ვეებერთელა ჭურჭლებით შემქონდათ.

იმპერიის მომმარაგებლები დამსხვრეული ჭურჭლის ნარჩენებს ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე ყრიდნენ და ასე წარმოიშვა ეს ყორღანიც. მომდევნო ოცი საუკუნის მანძილზე ეს გორაკი მტვრის სქელი ფენით დაიფარა. მაგრამ საკმარისია გაითხაროს გორაკის ზედა ფენა, რომ აღმოჩნდეს ნამსხვრევები, იმათი მისამართებითა და გვარებით, ვინც გზავნიდა სურსათ-სანოვაგეს სატახტო ქალაქში.

## ყველაზე ღონიერი ბრეტანელი

ბრეტანის (საფრანგეთი) ყველაზე ღონიერ მამაკაცთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ვინმე ჟან ბალზაკმა. როცა ჟიურის თავმჯდომარემ ჰკითხა გამარჯვებულს თუ რა ხელობისაა იგი — ყასაბი, მტვირთავი თუ ტყისმჭრელი, მან ღიმილით უპასუხა: „მე გამყიდველი ვარ, მალაზიაში ფაიფურის ჭურჭელს ვყიდი“.





## ძაღლები დაკბინეს... ადამიანებმა

ამას წინათ, ვაშინგტონის ორი უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდების მატჩი საერთო დაკა-დაკათი დამთავრდა. პოლიციამ, რაკი თვითონ ვერაფერი გააწყო, ძაღლები მოიყვანა. მაგრამ, სულ მალე, ძაღლებიც გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. ბოლოს, ჩხუბი რომ დამთავრდა ვეტექიმმა გასინჯა დაკბენილი ძაღლები და ერთ-ერთი მათგანის ყურზე ადამიანის ნაკბილარი აღმოაჩინა.

# საინტერესო თემაზე

## პერსევსის ქანდაკების საიდუმლოება

ფლორენციის ერთ-ერთ მუზეუმში დგას ბერძნული მითიური გმირის, პერსევსის ბრინჯაოს ქანდაკება. გმირს ხელში უჭირავს მის მიერ მოკ-



ლული მედუზის თავი. ამ ქანდაკების ავტორია გამოჩენილი იტალიელი სკულპტორი ბენვენუტო ჩელინი. ოთხას წელზე მეტია, მნახველთა თვალს აჯადოებს ხელოვნების ეს ბრწყინვალე ნაწარმოები. მაგრამ, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ამ ქანდაკებაში იმალება მისი შემოქმედის შესანიშნავი საიდუმლოება.

ეს საიდუმლო გამოიცნო, ან უფრო სწორად, 1914 წელს შემთხვევით აღმოაჩინა იტალიელმა ანტიკვარმა ბენედეტიმ. მან ქანდაკებაში ისეთი რამ ნახა, რაც ოთხასი წლის განმავლობაში ვერავინ ვერ შეამჩნია — ვერც მუზეუმის მომსახურე ადამიანებმა, ვერც დამთვალიერებლებმა.

ბენედეტიმ შემთხვევით მიაქცია ყურადღება პერსევსის თავის უკანა მხარეს და... გაოცებისაგან ერთ ადგილზე გაშეშდა: ანტიკვარის თვალწინ მკაფიოდ გამოიკვეთა ქანდაკების შემოქმედის — ბენვენუტო ჩელინის სახე. გმირის მუზარადის უკანა წიბო გამოსახავს ცხვირს, აქეთ-იქით თალაპოტები — ლოყებს, ხოლო მუზარადიდან გამოჩრილი თმები — ტუჩებს და სკულპტორის ხუჭუჭ წვერს.

პერსევსის ქანდაკება ჩელინიმ ფლორენციის ჰერცოგის — კოზიმო მედიჩის შეკვეთით ჩამოასხა. ჰერცოგს უნდოდა — გმირის ქანდაკებას განესახიერებინა, თუ როგორ დაემხო ფლორენციის რესპუბლიკა, რომელმაც მედიჩის სამემკვიდრეო მამული თავის საკუთრებად აქცია.

ძველი დროის მხატვრები და მოქანდაკეები, როგორც წესი, თავიანთ ქმნილებაში საკუთარ გამოსახულებასაც უკვდავყოფდნენ. მედიჩმა იცოდა ეს და, ამიტომ მან სკულპტორს კატეგორიულად აუკრძალა ამ წესის დაცვა. პერსევსის ქანდაკებას მარტოოდენ ჰერცოგი უნდა ედიდებინა.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ბენვენუტო ჩელინის მაინც მოუნახავს საშუალება — ჰერცოგის ბრძანებისათვის გვერდი აევლო.



# სარჩევი


რ. ქორქია — სიკეთე (მოგონება) 1
ი. ქემერტელიძე — ბალადა სკოლის ზარზე (ლექსი) . . . . . . . . 3
ვ. ჩეკურიშვილი — სამი უჩინმაჩინი (მოთხრობა; გაგრძელება) . . . . 4
მ. მრევლიშვილი — ბავშვების გულის მესაიდუმლე (წერილი) . . . . . 10
ტ. მებურიშვილი — ნახვამდის (ლექსი) . . . . . . . . . . . . . . 12
ა. აბულაშვილი — თოვლი თბილისში (ლექსი) . . . . . . . . . . . 12
თ. ცაგარელი — ჩემპიონის სახელობის რაზმეულში (ნარკვევი) . . . . 13
ოქროს საწმისი . . . . . . 15
კ. გამსახურდია — (ინტერვიუ) . 16
ვ. სიდამონიძე — ლუარსაბ ვაჩნაძე (წერილი) . . . . . . . . . . . . 17
რ. ჯაფარიძე — რაც მტრობას დაუნგრევია... (წერილი) . . . . . . . 18
ჯ. ჩარკვიანი — გულდას როგორ დავივიწყებ, დეიდა თამარ! (წერილი) . 20
ვ. რეხვიაშვილი — მეგობრობა — თავდადებაა! (მოგონება) . . . . . . 21
შარლ ლუი ფილიპი — გაცდენილი გაკვეთილი (მოთხრობა, თარგმნა ზ. ბირკაიამ) . . . . . . . . . . . 22
რ. ჩხეიძე — როგორ ვიღებთ კინოფილმს (წერილი) . . . . . . . . 24
ახალი წიგნები . . . . . . . 27
შ. ვადაჭკორია — მეხიკო იღებს ესტაფეტას (წერილი) . . . . . . . . 28
ჯადოსნური სარკე . . . . 37
საინტერესო თემაზე . . . 32
ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი . . (გარეკანის მესამე გვ.)
პ. კოსტიუკოვი — ბუნება და ფანტაზია (წერილი) . . (გარეკ. მესამე გვ.)



გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა — გაიოზ ფოცხიშვილისა

რედაქტორი ბაბულია შელია.



სარედაქციო კოლეგია: ფილიპე ბერიძე, შოთა გაბელაია, ნოდარ გურაბანიძე, ჯუანშერ კვარაცხელია, სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, თენგიზ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (სამხატვრო რედ.).



ჩვენი მისამართი:
თბილისი, პლეხანოვის 91
ტელეფონები:
რედაქტორის—5-17-76
საერთო—5-07-43



„ПИОНЕРИ". На грузинском языке. Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 91.
გამომცემლობა «ნაკადული». უე 01825 ტირ. 47.000. პირ. ფორ. რაოდ. 4½, ფიზ. ფორ. რაოდ. 2.
ხელმოწერ. დასაბ. 22 I-66 წ. სტამბის შეკვ. 4494. გამომც. შეკვ. 3025. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 20 კაპიკი

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფსიქოლოგიური პრაქტიკუმი

## ვარჯიში დაკვირვებაზე

### „სტომაქიონი“

ეს თამაში არქიმედმა გამოიგონა.

აიღეთ კალკის ქაღალდი, დააფარეთ აქ მოცემულ ნახაზს და ფანქრით შემოხაზეთ. შემდეგ ეს კალკი დააკარით მუყაოს ან სხვა სქელ ქაღალდს და გამოსჭერით. მოცემული ოვალი უნდა დაიჭრას 12 ნაწილად ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები.

მიღებული ნაწილებით შეიძლება გაკეთდეს სხვადასხვა ფიგურა.

ყველა ნაწილი დანომრეთ,—ეს ფიგურების გაკეთებისას თანმიმდევრობის დასაცავად გამოგადგებათ.

გამოჭრილი ნაწილების დალაგება შეიძლება ნებისმიერი მხრით. მათი ერთმანეთთან მჭიდროდ, მიჯრით დალაგება არაა აუცილებელი; ფიგურების გასაკეთებლად უნდა გამოიყენოთ ყველა თორმეტივე ნაწილი.

გირჩევთ, პირველად ფიგურების კეთება აქ მოცემული ნახაზების მიხედვით დაიწყოთ. შემდეგ კი თქვენ თვითონ გამოიგონეთ.




# ბუნება და ფანტაზია

### პ. კოსტიუკოვი

რაა ეს?—გართობა, გაქცევა, სერიოზული საქმე თუ, უბრალოდ, დროის ფუჭად მოკვლა? არა, ეს არც ერთია და არც მეორე—ეს ხელოვნებაა. აბა, ეს რა ხელოვნებაა,—გაუკვირდება ზოგიერთ თქვენგანს,—აარჩევ დალვარჭნილ ფესვს ან ძირკვს და „ეძებ“ რაღაცას, ცდილობ აღმოაჩინო მასში რაიმე ფიგურის ან კომპოზიციის ნიშანწყალი, მერე მოაცილებ, რაც ზედმეტია და, ნაწარმოებიც მზადაა. იოლი საქმეა!

იოლი? მხოლოდ ერთი შეხედვითაა იოლი... „არჩევ,“ „ეძებ“, „მოაცილებ“, ესე იგი, აკეთებ იმასვე, რასაც აკეთებს ნამდვილი მოქანდაკე.

როცა ფიგურის გამოსაჭრელად ფესვს იღებ ხელში, უპირველეს ყოვლისა, ემორჩილები იმ შთაბეჭდილებას, რომელიც ფესვმა მოახდინა შენზე. ახლა საჭიროა ასეთი რამ სხვასაც განაცდევინო.

აი, მე ხელთა მაქვს ფესვი, რომელიც კურდღელს მიაგავს. ამ „კურდღელს“ არა აქვს არც ფეხები, არც კუდი, ოდნავ ეტყობა ყურები.

მაგრამ მე მაინც ვგრძნობ ამ ფესვის გამომსახველობას, მასში ჩამალულ ფორმებს და ვცდილობ, დანისა და საჭრეთელის საშუალებით, „გამოვაჩინო“, გამოვკვეთო ისინი.

ცხადია, მარტო თეორიული ცოდნა და მათემატიკური გაანგარიშება არ კმარა, საჭიროა ფანტაზია და გამომგონებლობა.

ფესვებიდან რაიმეს გამოჭრა კიდევ იმიტომ არის კარგი, რომ არასოდეს არ გაიმეორებ შენს თავს: ყოველი ფესვი, თავისთავად, განუმეორებელია, იგი გკარნახობს თემასა და კომპოზიციას, მაგრამ ეს კარნახი უნდა გაიგონო, მხოლოდ მაშინ გაცოცხლდება გაქვავებული ხე.

რედაქცია: ვინ იცის, რამდენჯერ წახვალთ ტყეში სოკოს, მარწყვის, თხილისა თუ მაყვლის საკრეფად, ანდა, უბრალოდ, სასეირნოდ. ვინ მოსთვლის, რამდენი ხმელი ტოტი, ხის ფესვი ან ნაფოტია ტყეში და ზღვის სანაპიროზე გაფანტული. ერთი შეხედვით, თითქოს არაფერია მათში საინტერესო, მაგრამ... აბა ყურადღებით დააკვირდით: ზოგ ტოტს ისე აქვს ღეროები გაშვერილი, გეგონებათ კიბორჩხალააო; ზოგი—რომელიმე ზღაპრის გმირს მოგაგონებთ, ზოგიც—ფანტასტიურ არსებას, ჩიტს ან ნადირს წააგავს.

ზავშვებო! იმისათვის, რომ გაგიადვილდეთ ფიგურების გამოჭრა, გულდასმით წაიკითხეთ მოქანდაკე კოსტიუკოვის წერილი და დააკვირდით მის ნამუშევრებს გარეკანის მეოთხე გვერდზე.

ფესვებისა, ნაფოტებისა და ტოტებისაგან გამოჭრილი ფიგურები დიდად დაამშვენებენ თქვენს სამეცადინო კუთხეებს და წიგნის კარადებს.

შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ თქვენს მიერ დამზადებული ფიგურების ფოტოსურათები,—მათგან საუკეთესოებს გამოვაქვეყნებთ.



# ბუნება და ფანტაზია











ИНДЕКС 76157